

ქეშმარიტების დასადგენად

IX კლასის მოსწავლეთათვის განკუთვნილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის სახელმძღვანელო (შადღინგს და კომენტარები დაურთეს მანანა გვიგინიშვილმა, ლაურა ვრიგოლაშვილმა, ვახტანგ როდონაიამ) სატყვეურების მასწავლებელთა დიდი ხნის ნატურის აცხადებაა.

ცნობილია, რომ ძველი სახელმძღვანელო კარგა ხანია ვეღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს, რის გამოც მასწავლებელს გაკვეთილზე ტექსტის დასამუშავებლად პირველწყაროს მოძიება ესაჭიროებოდა. წინამდებარე ქრესტომათია არსებული ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად.

წიგნთან პირველი მიახლოებისთანავე იგრძნობა, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობით, ცოდნითა და სიყვარულით შეურჩევიათ შემდგენლებს მასში წარმოდგენილი მასალა, რაოდენ დიდი მუშაობა გაუწევიათ ყოველი ტექსტის ლექსიკური, გრამატიკული, ისტორიულ-გეოგრაფიული, საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური თუ სახისმეტყველებითი განმარტებების მოსახმობად, მათი მოძიებისათვის აუცილებელი შრომის შესამსუბუქებლად. ამ მხრივ იგი ძვირფასი შენაძენია არამარტო შევირდის, არამედ ოსტატისთვისაც.

სახელმძღვანელოს ავ-კარგს დრო შეამოწმებს. წიგნზე მუშაობისას თანდათან წარმოჩნდება მრავალი სიკეთე, რომელიც მას, უდავოდ, გააჩნია, და მადლობის გამოხატვები არაერთი სიტყვაც ითქმება; ნაკლოვანებებიც გამოიკვეთება და გამოთქმული შენიშვნების საფუძველზე ბევრი რამ გასწორდება, დაიხვეწება. ეს არის ბუნებრივი გზა, რომელიც ყოველმა სახელმძღვანელომ უნდა განელოს, რათა იდეალთან მიახლოება შეძლოს და მასზე აღზრდილ თაობებს კიდევ უფრო მაღალი იდეალი დაუსახოს. ამგვარად „დაწუნებული“ წიგნის ბედი ყველა წიგნისათვის სანატრელი და სანუკველია.

ახალი სახელმძღვანელოს ღრმა, საფუძვლიანი ანალიზი ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს, გვინდა გამოვთქვათ ერთი შენიშვნა, რომელიც „წმ. ნინოს ცხოვრების“ შემოთავაზებულ ადაპტირებულ ტექსტში არსებულ უზუსტობას შეეხება და იმდენად თვალშისაცემია, რომ მასზე ყურადღების გამახვილება გარკვეული „საგამოცდო ვადის“ გასვლამდე აუცილებლად მიგვაჩნია.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ შატბერდული რედაქციის მიხედვით მცხეთაში შემოსული წმინდა ნინო თავდაპირველად სამეფო ბაღში — სამოთხეში (სხვა ვარიანტით — წაღკოტში) დაამკვიდრა. უშვილო ცოლ-ქმარს შეფარებულმა წმინდანმა აქ მოახდინა თავისი პირველი სასწაული: „ჩუენებით ვხვდევდ, მოვიდა კაცი ნათლისა ფერი და მრქუა მე „სამოთხესა შევედ, ნამუთა ქუეშე საბილოთა ადგილი არს მცირს საყვარელად შემზადებული. მიწაჲ ადიდე ადგილისა მისგან და შეაჭამე კაცთა მაგათ და ესუას შეილი“. ხოლო მე ვუყვ ვერსით და ესხნეს ძეგბ და ასულებს მრავლად“, — მოგვითხრობს იგი (ფაქტობრივი მასალა წმ. ნინოს ცხოვ-

რების“ ყველა ვარიანტში დასტურდება. ციტირებისათვის დასახელებულ რედაქციას მივმართავთ, რადგან მასში ყველაზე მკარადაა შენარჩუნებული ძველის პირვანდელი შრეები). აქვე იხილა წმ. ნინომ ჩვენება, რომელიც წინასწარ მოასწავებდა სამეფო ბაღის გარდასახვას ქართველთა ემბაზად: „მოვიდიან მფრინველნი ცისანი, შთავიდიან მდინარესა, დაიბანნიან და მოვიდიან სამოთხესა მას და ბაბილოსა მას მოისთულედიან და ყუავილსა მას მოვიდიან და მოწლედ ჩემდამო ღაღადებედ, რეცა ჩემი არს სამოთხს იგი“.

ქვეყნიურ „სამოთხესთან“ (მირიან მეფის სამეფო ბაღთან დაკავშირებულ ამ ჩვენებაში წინასწარმეტყველურადაა განჭვრეტილი ერის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მომენტი — ქართველთა ნათლისღება („მფრინველნი ცისანი შთავიდიან მდინარესა და დაიბანნიან...“) და ზეციურ („ბაბილოსა მას მოისთულედიან...“), რაც ზეციურ სამოთხეში (სასუფეველში) დამკვიდრების წინაპირობად მოიაზრება.

ამ წინასწარმეტყველური ხილვის რეალიზებად წარმოგვიდგება სვეტიცხოვლის ტაძარი, რომელიც მირიან მეფის ბრძანებით სამეფო ბაღში — სამოთხეში შენდება. „არა ვპრიდო სამოთხესა მას სამეფოსსა და ნამუთა სიმაღლესა და ბაბილოთა მათ ნაყოფიერებასა და ყუავილთა მათ სულნელებასა, არამედ მას შინა აღვაშენო ტაძარი სალოცველად ჩემდა, რომელი ეგოს უკუნისამდე.“ — მიმართავს იგი წმ. ნინოს.

პირველი ქრისტიანული ტაძრის მშენებლობა „ნინოს ცხოვრებაში“ მეტად შთამბეჭდავადაა აღწერილი: „მოჰკუეთეს ნაძუ იგი და შეჰმზადეს სუეტად... ხოლო ოდეს მოიწია ჟამი აღმართებად სუეტი იგი პირველ მოცსენებული, იწყეს ხურთა მათ აღმართებად და ვერ უძლეს. მაშინ შეკრბა სიმრავლჳ ურიცხუ და მეფჳ მათ თანა. იწყეს ფერად-ფერადთა ღონეთა და მანქანათა მზადება. არა თუ აღმართებად ოდენ ვერ შეუძლეს, არამედ შეძრვადცა“.

წმ. ნინოს გულმხურვალე ლოცვის პასუხად სასწაულთმოქმედ სვეტს ცით მოვლენილი ნათელმოსილი ჭაბუკი მიეახლა: „და, აჰა, ესერა, ზედა მოადგა ჭაბუკი ერთი ყოვლადვე ნათლითა შემოსილი, და მოებლარდნა ცეცხლის-სახედ ზეწარი... მიყო ხელი სუეტსა მას და უპყრა თავი და ადამაღლა და წარიღო სიმაღლესა ცათასა“.

თავის საძირკველზე სვეტი-ცხოველი „ხელთშეუხებელად კაცთაგან“, ზეგარდმო ძალით დაეფუძნა: „და აჰა... სუეტი იგი ცეცხლის სახედ ჩამოვიდოდა და მიეახლა ხარისხსა მას თუსსა. და ვითარ დაემართა, და დადგა ზედა ხარისხსა მას ქუეყანით აღშორებულად ვითარ ათორმეტ წყრთა და ნელიდ ჩამოიცვალედა თუსსავე ზედა მას ნაკუეთსა... დადგა ხარისხსა თუსსა ზედა და დაემყარა ხელთშეუხებლად კაცთაგან...“

მტკვრისა და არაგვის შესართავთან აგებულმა პირველმა ქრისტიანულმა ეკლესიამ ერთ მთლიანობაში მოაქცია სვეტიცხოველი (ტაძარი), სვეტი-ცხოველი (ცხოველმყოფელი სვეტი) და კვართი

უფლისა, რომლის ადგილსამყოფელიც წმ. ნინოს ღვთისაგან ეუწყა. ეს ტაძარი, „ქუემო ეკლესიად“ სახელდებული, მეფისა და ერის ნათლისღებამდე, მცხეთაში საქრისტიანოს ცენტრიდან ეკლესიის იერარქთა და ქრისტიან ხურთთ-მოძღვართა ჩამოსვლამდე, 326 წლის ახლო ხანებში აშენდა. აქ ხილულმა სასწაულმა განსაზღვრა მისი სახელწოდება „წმიდაჲ წმინდათაჲ“.

„ყოვლადვე ვერ ვიკადრებდი კართა მისთა განხუმად თუნიერ ხოლო დღესა კურიაკესა, არცა შესვლად ვინ ვიკადრებდა თუნიერ მდღელთასა, რომელნი გალობედ მას შინა, რამეთუ შიში დიდი დაცემულ იყო ყოველსა ზედა კაცსა სუეტისა მისგან ცხოველისა“, — გვიამბობს მირიან მეფე წიგნში, „რომელი დაწერა ჟამსა სიკუდილისასა“.

იმდენად დიდი იყო კრძალვა-მოწინააღმდეგე სვეტი-ცხოველის წინაშე, რომ მეფემ მის მახლობლად თავისი საძვალის გაჭრაც კი ვერ გაბედა. „და ვერ ვიკადრე წინაშე მისსა აღმოკუეთად მიწაჲ სამარედ ჩემდა, რადთამცა დავსხენ ჴორცინი ჩემნი მის წინაშე“, — წერს იგი.

რაც შეეხება მაყვლოვანს, სადაც წმ. ნინომ ექვსი წელი გაატარა, სამეფო ბაღიდან („სამოთხიდან“) მოშორებით, მცხეთის გარეუბანში მდებარეობს. აქ „ჰყოფდა იგი კურნებათა მრავალთა“, აქ განკურნა ნანა დედოფალი „სენისაგან მისგან მძიმისა, რომლისა ჴელოვნებამან კაცთამან ვერ შეუძლო განკურნებაჲ მისი“.

მაყვლოვანი, წმ. ნინოს სამლოცველო და თავშესაფარი, მის მიერ დამოწაფებულ მცხეთელ დედათა შესაკრებელიცაა. თხოთის მთაზე მოვლენილი სასწაულით დათრგუნვილი მირიან მეფე, რომელიც წმ. ნინოს მაყვლოვანში მიეახლება, მასთან ერთად აქ მლოცველ ორმოცდაათ ქრისტიანს იხილავს: „ხოლო ნეტარი ნინო დადგრომილ იყო ლოცვასა მწუხრისასა ჩვეულებრისაგერ მაყლოვანსა მას შინა და მის თანა ორმოც და ათი სული“. ამდენად, მაყვლოვანი ტაძრის აგებამდევე ეკლესიას მოასწავებდა (სულხან-საბას მიხედვით, ეკლესია შესაკრებულს ნიშნავს). „ზემო ეკლესია“ (დღევანდელი სამთავრო), რომელიც ამ ადგილზე აშენდა (30-იანი წლები), პირველქრისტიანთა სულიერი შესაკრებელის მატერიალურ განსახოვნებად იქცა.

მირიან მეფის „წიგნში“ საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ მაყვლოვანში „ზემო ეკლესია“ შენდება, შენდება მაშინ, როცა „ქეემო ეკლესია“ უკვე აგებულია, მეფის ანდერძის თანახმად, მისი ძვალთშესალავი სწორედ აქ, „ზემო ეკლესიაში“ უნდა გაიჭრას: „და აღვაშენე ეკლესიაჲ მაყვლოვანსა მას შინა ნინოესა, და ვქმენ მას შინა საქმჳ ქმნული უჩინოჲ და ცხადი, დიდებაჲ მაყვლოვანთა მათ, რამეთუ არა გამოვაკუფურცელი ერთიცა მათგან, არამედ ხარისხითა გარეშევიცვენ, რამეთუ მეხილვენს მრავალნი სასწაულნი მას შინა და კურნებანი დიდნი და აღვაშენე ზემოჲ ეკლესიაჲ თავისა ჩენისათუს ქვითა და ერისა სიმრავლითა, რამეთუ ქუემოსა ეკლესიასა ერქუა „წმიდაჲ წმინდათაჲ. და შევიმზადე ზემო საფლავი ჩემი...“

ცნობილია, რომ მირიან მეფე (ისევე, როგორც ნანა დედოფალი) სწორედ სამთავროს ეკლესიაშია დაკრძალული.

IX კლასის ქრესტომათიის სახელმძღვანელოს მიხედვით, მცხეთის სამეფო ბაღი — „სამოთხე“ და მაყვლოვანი ერთი და იგივე ადგილია: „ხოლო წმიდამან ნინო ჰოვა ბივრიტი, თუალი კერისაჲ, აღსდგა და წარმოიღო და წარვიდა საყოფელად თუისად, შორის მაყუალთა მათ, რომელნი მდგომარე იყვნეს სამოთხესა მეფისასა, და დღე და ღამე ილოცვითა“ (გვ. 22). ეს არის ფაქტობრივი უზუსტობა, რომელნიც „წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა ვარიანტს ეწინააღმდეგება, ამიტომ ეს ადგილი სიტყვიერების მასწავლებელმა სათანადოდ უნდა განმარტოს.

ასევე არ შეესაბამება რეალურ ვითარებას ადაპტირებული ტექსტის შემდეგი მონაკვეთი: [მირიან მეფე] „ევედრა, რადთა გამოუსახოს სახე ეკლესიისაჲ. ხოლო წმიდამან ნინო საღმრთოჲ იგი ტაძარი გამოუსახა და ერნი იგი აშენებდეს. და განსრულდა ტაძარი იგი სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისასა.“

და ბრძანა მეფემან აღშენებად სხუაჲ ტაძარი, სადა — იგი მდგომარე იყო კუპაროზი საკურველი (გვ. 27)... „და ვითარცა მოჰკუეთეს ხჳ იგი, გამოსცა სულნელებაჲ მიუთხრობელი. და შეჰმზადეს სუეტად“ (გვ. 30)...

ამონარიდის თანახმად, სვეტიცხოველი „სხუაჲ“ ტაძარია; მასზე ადრე სხვა საყდარი შენდება, ეს კი უარყოფს უფლის კვართზე აღმართული ეკლესიის პირველობის საკითხს, რაც ქრესტომათიულ ჭეშმარიტებად არის მიჩნეული და რაზეც არავენ დაობს. პირველი ქრისტიანული ტაძარი, რომელიც საქართველოში აიგო, ე.ი. სვეტიცხოველი, თორმეტი მოციქულის სახელობისაა. ამავ დროს მას, როგორც ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე აგებულ პირველ ეკლესიას, სიონიც ეწოდა (სიონს ღვთისმშობლის ტაძრებს უწოდებდნენ). ეს ფაქტი იმდენად ნათელი და დასაბუთებულია (ეს „საბუთი“ სვეტიცხოველის სახით, საბედნიეროდ, ხომ სახეზეა!), რომ მისი გამრუდებით მოსწავლეთაგან მხოლოდ უნდობლობას დავიშსახურებთ: მცხეთაში მათ რიგითი ექსკურსიამძღოლისაგანაც კი შეუძლიათ სწორი ინფორმაციის მიღება...

სვეტიცხოველი მოსწავლეთა (და მასწავლებელთა) შემეცნებაში უნდა დამკვიდრდეს, ვითარცა პირველსახე, პირველნიმუში ქართული ქრისტიანული ეკლესიებისა. სვეტი-ცხოველი, სულიერი საყრდენი ქრისტეს კვართზე დაფუძნებული სეფეტაძრისა, ქართული ეკლესიის დედაბოძადაც მოიაზრება. მისი პირველობის გამოკვეთა პრინციპული საკითხია, ამიტომ აღნიშნული უზუსტობა მასწავლებლის მიერ უქველად უნდა გასწორდეს.

როზა დევიდარიანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი

ახალი ნიკოლოზი

მეხუთე ნაპი

ასპინძური მასპინძლობა

ტარიელ შუტაბრაძე

ონი) და ბარისაბომ (დუშეთის რაიონი). 2002 წლის ივლისში კი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50-კაციან ექსპედიციას ასპინძამ უმასპინძლა.

უსასაღლო კოტეჯები და თიხნახიანი სოფრები

მერაბი ასპინძაშიც წამოგვეყვანა, ჯერ ახლადარჩეულ გამგებელთან მიმოვიხილა მოკითხვა-გაცნობის შემდეგ:

ანზორ სანდროშვილი: „ბატონო მერაბ, რაც მთხოვეთ, შევისრულეთ, ქუთაისის უნივერსიტეტის ექსპედიციას ძირითადი ბაზა კურორტ „ასპინძაში“

თველის აგურით — ეპისაშვილი დიბეგელ საუფრობით სიხარულ და დამაჯერებლად თამაშობდა ძალი თაობის გამგებელი.

— ერთი რაიონის აგურებსა შეუბრუნებელია, თუ მილიანად საჭირო თველოში არ შეიქმნება ბატონის კაცის ცხოვრება-მოღვაწეობის ხირობები, ჯერ-ჯერობით ზვეს ჯვესას ქუთაიელ-კლასიკური ოლიგარქისა მათავს, ბატონო ანზორ — ვეუბნებოდი...

განსაკუთრებულად ქართული სტრუქტურ-მასპინძლობის, თამაშის პრაქტიკის ცხოვრებასა და სტრუქტურ-ხალისიანი სიმღერა-მითოლოგიის ფონზე იქმნალებოდა ახალი მათი სხვადასხვაობაც კი; ველაროკონგ თიხნებისა და კარგი ღვინის ხელშეწყობით სუფრასთან მაინც იმარჯვებინებდა ჩვენი საქართველო ავესახებოდა მძლავრი სახელით იმედიც.

საგაგაბო სანთებისა და გაბაბაბალი წინადა

საველე-სასწავლო პრაქტიკის დაწყებამდე ერთი დღე ჩვენთვის მისაღწევი ისტორიული ძეგლებისა და ტერიტორიების ნახვისთვის დავეგეგმეთ მინდობდა, სტუდენტებს ახლა უფრო ადგილზე ენახათ მუზეუმის ფორტოსურათებით ნაცნობი (თუ ახალგაყნობილი) წინაპართა სალოცავები თუ ნასისხლარები. ხერთვისის ახლაც შთამბეჭდავია, ახლაც დიდი ვაჟაცობა უნდა მისი ციკაბო გვირახით მტკვრამდე ჩაღწევას და მაშინ რა რთული იქნებოდა ხელნართული ომით მისი ავლა თუ ჩამოვლა... ჩვენი მეგობრის — სოსო კობალიანის — ატობუსის მიკროფონით გზადაგზა ასპინძელი მამუჯა და მე სტუდენტებს ვუყვებოდით მესხურ თქმულებებს ისინიც ექსპურსანტობიდან ნელ-ნელა ფერისცვალობდნენ საკუთარი წარსულის განმეორებულ მსმენლობამდე...

ექნება — ბაბოებზე, კოტეჯებში გაათევენ ღამეს; თუ საჭირო გახდება, სკოლაშიც დაეაბინებენ ხალხს;“ მერაბ ბერიძე: „ძალიან კარგი!“ მე: „მერაბ, ჩვენ აქამდე, როგორც წესი, სკოლა-ინტერნატებში ვხერდებოდით, სადაც სასაიდლო, ქვაბები, გაზის ღუმელი გვხვდებოდა... ჩვენ მხოლოდ დანა-ჩანგალ-თეფშები გვაქვს...“

გამგებელი: „ჩვენ ამგვარი შეკვეთა არ გვქონია, ბატონო მერაბ;“ მე მერაბს გადავხედე.

მერაბი: „ჩემო ტარიელ, შენ სასაიდლო არ გისვენებია, მხოლოდ ბინისა და საწოლების შესახებ დამირეკე;“ გამეღიმა და ერთი ამბავი ღიმილით მოგვყვი:

„13 წლის წინ სტიქიით დაზარალებული აჭარლები ქვაბებში საცხოვრებლად ჩაიფანეს, ვაგონებში დააბინავენ და უმოკლეს დროში აუშენეს სახლები, მაგრამ, თურმე, ბოს-



ბრწყინვალე ბუნება, ბრწყინვალე განწყობილება

ლები და სხვა სათავსოები პროექტებში გათვალისწინებული არ ჰქონდათ; ჩასახლებულთ თავიანთი ხარჯით არაფრის აშენება არ შეეძლოთ, ამიტომ ბევრი უკან დაბრუნდა, ზოგმაც თავისი საქონელი სახლის პირველ სართულზე შეასახლა... ჩვენ უკან ვერ დავბრუნდებით და რაღაც გამოსავალს უთუოდ ვიპოვით; კურორტის სასაიდლო არა აქვს?“

გამგებელი: აქვს, მაგრამ დიდი ხანია არ უმუშავია მისი შემოთავაზება გაქირდება...“

კეთილგანწყობის ველში ყველა პრობლემა მოიხსნა: წინასწარვე ვიტყვი, რომ მიუღმა რაიონმა მიიღო მონაწილეობა ჩვენს მასპინძლობაში: თითქმის ორი კვირის მანძილზე ექსპედიციურ ცხოვრებას გვიადგილებდა ბ-ნი ანზორ სანდროშვილის, პოლიციის უფროსის ბ-ნი ზვიან ქავთარაძის, კურორტის დირექტორის ბ-ნი თამაზ ჩიგოგიძის და მათი ყველა კოლეგისა თუ თანარაიონელის თანადგომა; ასპინძელმა რამდენჯერმე გამაღუს მამაძური სუფრა, სადაც უთუოდ დელიკატესობდა შემწვარი თუ მობარშული თიხანი...

— მე არც ერთი პარტიის წევრი არა ვარ! მე ქართველი ვარ, მიყვარს მოყვანი და მიხნად მაქვს აყვავო ჩემი რაიონი, ამით ჩემ წილ საქარ-

ლის განმეორებულ მსმენლობამდე... ხერთვისის ციხის ზედა კედლებთან ერთ-ერთი მათგანი ფეხზე მდგომი იწერდა მამუჯას ნამბოლს ზედმეტად ბევრითი სტუდენტის რუღუნებით... მტკვრის მორჩე მზარცს დიდი ნაღობარის პირისპირ გაგვირდიოთ; წარმოვიდგინე, როგორ ჩავშვებოდა მტკვარში ლატით დამარცხებული თმოგვის ციხის პატრონი... ასველიანებულ ქართველებს მოვუყვებოდა ლეგენდა ვაჟაკი მეციხოვნის, მისი მოლაღატე ცოლისა და ღირსეული მტრის შესახებ... შემდეგ იყო ვანის ქვაბები, ზედა ვარძია, ჭედა ვარძია, ანუ დიდი ნაქალაქარი კლდეში და ბოლოს წუნღა — მესხეთის ღამაში პატარალო უცნაური სახითღმა დაფიქრით იქ აღმათ, სომხური სახითღმა ვიფიქროს ისეთი წმინდა და ფეხბია წუნღა მას ყველამ უნდა სცეს პატრი; ასაქართველოს წილ მიწას ზედა თუ ტაძარს ვერაფერს მიითვისებს... — ეს სუბობი ჩემ სტუდენტთა ჩაიხიფებს „ბომ ასეა ვა“, ვიპოვებდი ჩვენი ექსპედიციის ახლ წევრს — ახლო კობის უნივერსიტეტში შემომტყუებულ მომავალ მკვლევარს, მინაზრისა და ავოკადოს...“ მუა სანდროშვილის მოლოდინ ტანსაცმლის სიმღერა სკოლის მასწავლებელს; რატუნდა ვამ სომხური ენა მესხეთის უნივერსიტეტში იმეტომ ისწავლა ჩაიხიფებს სომხეს ქართული ენა...სანდროშვილის სახლმწიფო ენა რომ ასწავლოს... (ავტობიუსის იწესს)

მერაბ ბერიძე — მთავარი (მ)სპინძელი

მერაბსა და მე ოცწლიანი თანამშრომლობა გვაკავშირებს; ჯერ იყო ოთა, შემდეგ საფარა, ბოლოს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის დაფუძნება... მესხეთში ქუთაისის უნივერსიტეტის ექსპედიციის იდეას მერაბი მიესალმა და თანადგომა თავიდანვე თავდაჭერებით თქვა.

12 ივლისს 12 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის დირექტორი ბ-ნი მერაბ ბერიძე უკვე თავის კაბინეტში გვმასპინძლობდა: იგი მესხური პირდაპირი, გულგრილი და საქმიანი ქვეყნისაუბრით შეგვხვდა; სტუმარ სტუმრულტებსაც და მათ ხელმძღვანელებს (მე თავს მასპინძლადაც ვთვლიდი და სტუმრადაც, ამიტომ მშვიდად მლიმარი თვალის რაოლი ავირჩიე) გულდინჯად ელაპარაკა მესხეთის უნივერსიტეტის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე; თავად წარუდგინა მათ და დადასტურებულა ღამაზად მოწყობილი კაბინეტები და დიდ დარბაზში ეროვნულ სტილში დახვედრა ქართველური შინაარსის ხაჭაპური, ხინკალი, სალათ-ფხაღუფუნნი და ნაირი-ნაირი სასმელები...

რაბათის ღიმილიანი დიასახლისი

ისტორიული მესხეთის გაცნობა ახალციხის მუზეუმის ნახვით უნდა დაიწყოს კაცმა; ქ-ნი ციური ლაფაჩი და მისი სათნოდ მომღიმარი თანამშრომლები სევდიანი სიამაყით ამტკველებდნენ ჩვენს ღრმადფსევბიან და დიდად ტკივილიან წარსულს; სველის მთავარი ზღვა ახალი დარბაზი აღმოჩნდა: კედლებიდან დასახიჩრებულ-დანგრეულნი, მაგრამ მაინც უდრკად და ჩვენი თაობისთვის პირქუშად იმზირებოდნენ ძველი თაობის ქართველთა ნაგებ-ნალოლიავები მრავალსაუფროვანი ტაძრები, ციხეები... ალაგ-ალაგ მაინც ისვენებდა სული და უნგრეველი ტაძრის ფოტოსთან, დღეს თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში შემავალ ქართულ მიწა-წყალზე არსებული ჩვენი ძეგლების სრულად ჩვენება დავისახოთ მიხნად-მეთქი—ვუთხარი ციურის... უფრო ტრაგიკული გახდება ეს დარბაზი, იგებ გამოსაფხიზლებელი სიმძაფრე შეიძინოს სველის ამ ზღვამ-მეთქი, ვფიქრობდი... „ამდენი თანხების მოძიებას ჩვენ ერთადაც კი ვერ შევძლებთ“ — ალბათ, უფრო უხბოდ შემომთვალსევდიანა მუზეუმის დირექტორმა.

მანამდე, ციურისთან შეხვედრისას გამართული ქართველურსულიანი დიალოგიც სასველოდ დაგვამასოვრდა:

ქ-ნი ციური: სტუდენტებს, თანაც ასე შორიდან ჩამოსული, ფულს როგორ გადავხადებინებ!

მე: ამ უხელისუფლობა-უხელფასობაში რამდენი პრობლემა გექნებათ... ქ-ნი ციური: არა, ჩვენს გასაჭირს ეს თანხა რას უშველის... ბოლოს, წამოსვლის წინ შარშანდელი ექსპედიციის დროს ჩარგალის მუზეუმის ის ამბავი მოვუყვებო, დიდი წერილის (სხეცსურეთი-საქართველოს ოლიმპი) პატარა ეპიზოდად რომ იქცა... რას გადავჩინებოვართო — ცრემლებამდე იციხნოდა ციური...

ზარ წიგნად რომ შეკრა თავისი ნაშრომები მეოცე საუკუნის მწერლობის შესახებ. მართალია, ამ წიგნში მონოგრაფიების შეტანა სრულყოფილად ვერ მოხერხდა, მაგრამ სამაგიეროდ ასწილულის სამწერლო პროცესის თვისებრივი ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების ცალკეული სურათები ერთიანად აიკინდა, გამთლიანდა. უამრავი მასალა თავმოყრილი ამ წიგნსახელმძღვანელოში, მწერალთა მოქალაქეობრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალებიდან დაწყებული, დამთავრებული მათი შემოქმედების უმთავრესი პერიპეტეიბის წარმოჩინოთა და ანალიზით, რასაც ემატება ამათუ იმ მოღვაწის მხატვრულ ქმნილებებზე სხვადასხვა

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

როს დაწერილ კრიტიკულ-ესეისტური ლიტერატურის თანამედროვეს თვალთ რევიზირება და ზოგიერთი დღემდე ჩრდილში მდგარი მეტად ღირებული ნაწარმოების ავტორისეული ინტერპრეტაციები.

ჩვენს ხელთაა „მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის“ პირველი ტომი. საქართველოში მოღვაწე მწერლებთან ერთად ამ ტომში განხილულია ემიგრანტთა შემოქმედებაც, ერთადაა წარმოდგენილი ჩვენი, ერთნაული ლიტერატურული ელიტა; თუმცა, ვერ კიდევ შორია საუკუნის დასრულებული პორტრეტის წარმოსახვამდე. ეს წიგნის ავტორმაც კარგად იცის და იგი ვებრძობა, უკვე ოცდამეერთეს გადასახედიდან, როცა უკვე სამწერლო მოსაველი აღებულია და დაბინავებულია, სულ მალე მეორე ტომსაც (იქნებ მესამესაც...) შემოვთავაზებ და ჩვენს მიერ ხსენებული პორტრეტის ცუდი დამხატვა არ იქნება.

და საერთოდ, შავი ღრუბლებით მოცულ ეპოქაზე დიდ სიკარგილეს ბევრად აძვირებს, ჩვეულებრივი მკითხველისთვის ვერასდროს მიუწვდომელს, გამოუცნობს, გაუგებარს, მისაწვდომს, ცნობილსა და გასაგებს ხდის. წიგნის ავტორის სადა მეცნიერულ-ანალიტიკური კვლევისა და ძიების მეთოდი, ენა მკითხველს იოლად „იჭერს“, ამიტომ გონდება პატრიესციემის გრძობა ამ შესანიშნავი ნაშრომისადმი, ამიტომ ცდილობ, რაიმე არ გამოგრჩეს, ნელა, გულდინჯად წაიკითხო იგი და ბევრი რამ დაიმასსოვრო.

მერწმუნეთ, ამ ორიოდე სიტყვის თქმა ქალბატონ რუსუდანის წიგნის რეკლამიერებისათვის არ განმისზრასავს, მი-თუმეტეს, დღეს ბევრ საველო დირებულების მქონესა და საერთოდ უყარვისს აქებენ და ადიდებენ, მკითხველი რომ მოატყუონ და ანექსს წამოაგონ;

დასახელებული წიგნი თავისთვის გაიკვალავს გზას; მასზე უკვე დაიწერა არაერთი მაღალი დონის რეცენზია და თუკი მაინც ეს მცირეოდენი თქმა რეკლამაა, დაე იყოს, ნამდვილად აუცილებელია, ყველა ფილოლოგმა, და არა მარტო მათ, წაიკითხონ რუსუდან ნიშინისი „XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“.

ესა და საერთოდ უყარვისს აქებენ და ადიდებენ, მკითხველი რომ მოატყუონ და ანექსს წამოაგონ; დასახელებული წიგნი თავისთვის გაიკვალავს გზას; მასზე უკვე დაიწერა არაერთი მაღალი დონის რეცენზია და თუკი მაინც ეს მცირეოდენი თქმა რეკლამაა, დაე იყოს, ნამდვილად აუცილებელია, ყველა ფილოლოგმა, და არა მარტო მათ, წაიკითხონ რუსუდან ნიშინისი „XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“.

ესა ხსენისა

მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა

ბოლო ათწლეულების ქართული ლიტერატურათმცოდნეობაში ძნელად თუ გამოვარჩევი სოლიდურ ნაშრომებს მე-20 საუკუნის მწერლობის შესახებ, რომელთა მეცნიერული ღირებულება მეტად მნიშვნელოვანია. პროფესიონალ ფილოლოგებს კარგად მოეხსენებათ, რამდენად ყოვლისმპყრობელი იყო სოციალისტური რეალიზმისათვის დამახასიათებელი კვლევისა და მსოფლხედვის ცალმხრივობა, რითაც მთლიანად მოცული იყო საშუალო თუ უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები, ცალკეული მონოგრაფიები.

პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი იმ ჭეშმარიტ მეცნიერთა მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც ნატრობდნენ დამდგარი ცხოვრების ისეთი პირობები, საშუალება მისცემოდათ თვითნაირი წილობით ნადიქირი, მართებული მოსაზრებები, ნამდვილად ფასეული კვლევის შედეგები, ყოველგვარი შესწორება-ჩამოჭრისა და „მუშვალი“ ცენზურის გარეშე მკითხველისათვის მიეწოდებინათ.

ბატონი ავთანდილი ორ ათეულამდე წიგნის ავტორია, მრავალმხრივია მისი შემოქმედებითი დაბაზონი. ძირითადად, მეოცე საუკუნის ქართველი მწერლების მიღწევებითაა დაინტერესებული, თუმცა, სხვა პერიოდის ლიტერატურული ცხოვრების ანალიზიც ურიგოდ არ გამოუდის. განსაკუთრებულ ყურადღობას მის ნაწერებს, ბუნებრივია, მძატებს ის, რომ მათი მკითხველები არიან მოსწავლეები, მასწავლებლები, სტუდენტები, მეცნიერ-მუშაკები...


კარგი გადაწყვეტილება მიიღო ბატონმა ავთანდილმა, ერთ უზარმა-

იშვითად ნახათ წიგნს, რომელიც დიდი ინტერესითა და გაფაციცებული ყურადღებით იკითხება, მით უმეტეს, მეცნიერული ხასიათის თუა იგი. ნიჭიერმა და გემოვნებინამა ავტორმა კარგად იცის, ჯადოთა და წვალებით მიკვლეული მასალა, ინფორმაცია, საკუთარი კომენტარი და მოსაზრებანი როგორი სიფრთხილითა და სიფაქიზით უნდა დალაგდეს, როგორ მოვითხროს მათ შესახებ.

მართლაც, მკაფიოდ ემჩნევა რუღუნების ნიშანკვალნი რუსუდან ნიშინისის ნაშრომს. თუ შენთვის ძვირფასია ქართველ მწერალთა ცხოვრების გაცნობა, თუ გსურს, იცოდე სიმართლე, რომლისაც დიდი მონდომებით გიმალავდნენ ადრე, ეს წიგნი მრავალ ჩამომევეულ ფარდას გადასწევს.

თითქმის ყველა წერილი საარტიკლო დოკუმენტებს ეყრდნობა; მათ დიდი ხანია არაფის აკარებდნენ, მხოლოდ მტკვრი იყო მათი მფლობელი, ან კეთილ ადამიანებს საიმედოდ მქონდათ ვადამალული ისინი, თუკი ოდესმე კეთილი ნების სიო დაზერავდა, გამოეჩინათ და სიმართლე თავის გზას დასდევოდა.

ქალბატონ რუსუდანს მიუწვდა ხელი მათ მასალაზე, მისი წერილები სრულიად საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე, გრიგოლ რომაძიძეზე, გალაკტიონ ტაბიძეზე, ნიკოლო მიწიშვილზე, სიმონ ბერეჟიანზე, ლადო ზალიაურზე და ნიკო სამადაშვილზე,



XX საუკუნის ქართული მწერლობა ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ზმნის რაობის სწავლება


ზმნის რაობის სწავლებას ორი საათი უნდა დაეთმოს. პირველ ვაკეითელზე დაფაზე ახეთი წინადადება გაანალიზდება:

ფუფუნა წვიმა მოვიდა,
დიდი მინდორი დანამა,
ჯეჯილმა მუხლი იყარა,
ფერი იცვალა ყანამა.

კითხვების საშუალებით მოსწავლეებს გავარკვევინოთ, რომელი სიტყვებია ამ წინადადებაში საგნის აღმნიშვნელი, რომელი მოქმედებისა. ამის შემდეგ ზმნის სემანტიკური მხარის ცოდნის განსამტკიცებლად ჩატარდება ვარჯიშობა, რომ მოსწავლემ უფრო მკვეთრად გამოიხსნოს ცნობიერებაში ზმნისა და არსებითი სახელის სემანტიკა და ფუნქცია.

ზმნის სემანტიკური მხარისა (რომ ის აღნიშნავს მოქმედებას ან მდგომარეობას) და სემანტიკური ფუნქციის (რომ ის წინადადებაში შემასმენლის როლს ასრულებს) განმეორება-გადრმავება ერთდროულად ხდება. მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, დაასახელონ ისეთი წინადადებები, სადაც ზმნები მოქმედებას აღნიშნავენ. მოსწავლეთა მიერ დასახელებული მაგალითები დაიწერება დაფაზე და გაანალიზდება.

დაფაზე გაიკრება სქემა, სადაც ერთ არსებით სახელს რამდენიმე მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა, ანუ ზმნა უკავშირდება:



მოსწავლეებმაც ანალოგიური მაგალითები უნდა გაანალიზონ და დასკვნან, რომ ერთ არსებით სახელს რამდენიმე სხვადასხვა მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა უკავშირდება.

ანალოგიური ვარჯიშობა ჩატარდება თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალისა და შესატყვისი კითხვების გამოყენებით მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნაზეც.

მოსწავლეებს გამოვატანინოთ დასკვნა, რომ მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვაც ზმნაა და წინადადებაში შემასმენლის როლს ასრულებს.

მოსწავლეებს გავაანალიზებინებთ წინადადებებს:

1. ჭრელი ჰებელა დაათრო და გააბრუა იამა...
2. კურდულმა თქვა: ჩირგვი ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედო, შევიხედე სერზედო, ბატონი ზის ცხენზედო.

მოსწავლეები ცალ - ცალკე დაალაგებენ მოქმედებისა (დაათრო, გააბრუა, თქვა, მოვა, შევიხედე) და მდგომარეობის აღმნიშვნელ (ვზივარ, ზის) ზმნებს.

ამის შემდეგ უნდა წავიკითხოთ სახელმძღვანელოში მოცემული ზმნის განსაზღვრა. შემდეგ შევახსენებთ, რომელი პირის ნაცვალსახელი რომელ პირსა და რიცხვს აღნიშნავს. დაფაზე დაეწეროს სათანადო მაგალითებს, ნაცვალსახელებს ჩაევსვამთ ფრჩხილებში და ზმნებიდან გამოვყოფთ პირისა და რიცხვის ნიშნებს:

- (მე) ვ-ხატავ
- (შენ) ხატავ
- (ის) ხატავს
- (ჩვენ) ვ-ხატავთ
- (თქვენ) ხატავთ
- (ისინი) ხატავენ

ეს საჭიროა დასკვნისათვის, რომ ზმნა პირისა და რიცხვის მიხედვით იცვლება.

მოსწავლეებს დაევალებათ, ზღაპრიდან „ეთერი“ ამოწერონ ისეთი წინადადებები, რომელთაგან ორი ზმნა მოქმედების აღმნიშვნელია, ორი მდგომარეობისა და ცვალონ პირისა და რიცხვის მიხედვით.

ამით მოსწავლეთა მეხსიერებაში აღდგება, შეივსება, გადრმავება, გამოილიანდება ზმნის შესახებ დაწყებით კლასებში მიღებული ცოდნა პირისა და რიცხვის მიხედვით ფორმაციის შესახებ.

მეორე ვაკეითელი გამოკითხვის შემდეგ დაეთმობა პირველადი და ნასახელარი ზმნების გაცნობას.

მასწავლებლის მიერ კითხვებისა და შეპირისპირების ზერხების გამოყენებით მოსწავლეები უნდა მივიყვანოთ დასკვნამდე, რომ პირველადი ზმნები, რომლებიც ნაწარმოები არ არის სხვა მეტყველების ნაწილებისაგან, ხოლო ნასახელარი ზმნები ნაწარმოებია რომელიმე სახელისაგან: ა-სურთ-ავებს, თეთრ-ღება, ერთ-ღება...

გამოვიყენებთ ასეთ ტაბულას:

- დგას-დგომა
- თვლის-თვლა
- თრთის-თრთოლა
- კრთის-კრთომა
- მღერის-მღერა
- ხუმრობს-ხუმრობა

მოსწავლეებს ვაბრუნებინოთ: მღერა, ხუმრობა, ხოლო პირისა და რიცხვის მიხედვით ვაცვლევინოთ: ვმღერი, ვხუმრობ.

მასალა განვამტკიცოთ საუბრის ხერხით:

- რის მიხედვით იცვლება არსებითი სახელი?
- არსებითი სახელი იცვლება ბრუნვების მიხედვით.
- ზმნა?
- ზმნა იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით.
- დაასახელოთ მაგალითი ისეთი სახელებისა, რომლებიც ზმნისაგან არის მიღებული.
- წოლა, დგომა, ხტომა, რბენა, კბენა...
- დაასახელოთ ისეთი ზმნები, რომლებიც სახელისაგან არის მიღებული.
- შეადგება, სახლდება, ორმაგდება...
- რა ეწოდება ასეთ ზმნებს?
- ნასახელარი ზმნები.

დაფაზე დაეწეროს და გავაანალიზებთ წინადადებას: „ჩიტუნებმა დაიწყეს ტოტებზე სრიალი, მზიარულად სველი ფრთების გასწორება, გალობა და მზესთან ალერსი“ (ი. გოგებაშვილი). დაისმება კითხვა: — ამ უკანასკნელ წინადადებაში ჩიტუნების მოქმედება რომელი სიტყვებით არის გამოხატული?

- სრიალი, გასწორება, გალობა, ალერსი.
- დაუსვით ამ სიტყვებს კითხვები.

პასუხის მიღების შემდეგ შევადარებინოთ ფორმები:

- სრიალებდნენ — სრიალი;
- გალობდნენ — გალობა;
- უალერსებდნენ — ალერსი.

— რა მსგავსება და განსხვავებაა ამ სიტყვებს შორის შინაარსობრივად და ფორმობრივად?

— ორივე სვეტის სიტყვათა შინაარსი მოქმედებას გამოხატავს, მაგრამ შენაცვლებული ფორმები (სრიალი, გალობა, ალერსი) ზმნის კითხვაზე არ უპასუხებენ, ისინი მიუგებენ არსებითი სახელის კითხვაზე (რა?) და იბრუნვიან — სრიალი, სრიალმა, სრიალს.. ზმნა კი არ იბრუნვის.

დაფაზე დაეწეროს: 1. ჩიტუნები სრიალებდნენ 2. სრიალი ჩიტუნებისა. მოსწავლეებს მივიყვანოთ იმ დასკვნამდე, რომ ზმნა სრიალებდნენ, მიგვიითებს მოქმედ პირზე, გვიჩვენებს, რომ ჩიტუნები მოქმედებენ. ცხადია, სხვა წინადადებაში ამ ზმნას მოქმედ პირებად სხვა სახელებიც შეეწყობა, ზოგჯერ კონკრეტული შინაარსისა, ზოგჯერ კი უფრო ზოგადად — პირის ნაცვალსახელით (ისინი) გამოხატული. აქ მთავარი ის არის, რომ სიტყვის ეს ფორმა (სრიალებდნენ) თვითონ გვავარაუდებინებს მასთან შეწყობილ მოქმედ პირს, ხოლო სიტყვა სრიალი, მართალია, მოქმედებას გამოხატავს, მაგრამ მოქმედი საგანი, თუნდაც პირის ნაცვალსახელით გამოხატული, მათში აღარ იგულისხმება. მოსწავლეებს ავუხსნიოთ, რომ ამ სიტყვებს უპირო ზმნები ეწოდება. განვუმტკიცებთ პირიან და უპირო ზმნებს შორის არსებულ მსგავსებას - განსხვავებას.

ასევე გრამატიკული პირის ახსნისა და მასზე სათანადო ვარჯიშობის შემდეგ მოსწავლეების ყურადღება გამახვილდება იმაზე, თუ რა სხვაობაა ზმნასა და არსებით სახელს შორის.

- რის მიხედვით იცვლება სახელი?
- სახელი იცვლება ბრუნვების მიხედვით
- ზმნა რის მიხედვით იცვლება?
- პირისა და რიცხვის მიხედვით.
- მაშ, როგორ სიტყვას ეწოდება ზმნა?
- საგნის მოქმედების ან მდგომარეობის აღმნიშვნელ სიტყვას, რომელიც იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით, ზმნა ეწოდება.

რა თქმა უნდა, ასეთ დასკვნამდე მოსწავლეების მისაყვანად საჭირო გახდება მასწავლებლის ჩარევა, სახელსა და ზმნაზე დაკვირვება, მათი გრამატიკული ნიშნების წინ წამოწევა.

ზმნის ზემოხსენებული განმარტება მისაღები და მოსახერხებელია მოსწავლეთათვის. თუკი მოსწავლე კარგად გაერკვევა ზმნის რაობაში, მაშინ არც პირის, რიცხვის თუ სხვა კატეგორიების შესწავლაში შეფერხდება და არ დაიწყებს ზმნური ნიშნების ძებნას იქ, სადაც ის არ შეიძლება იყოს.

მანანა შიქაძე
პროფესორი

ქართული ენის ახალი სახელმძღვანელო არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტთათვის.

მანანა შიქაძე
და მანანა შიქაძე

ქართული ენის პრაქტიკული კურსი

ქართული ენის სწავლებას არასპეციალურ ფაკულტეტებზე არც თუ ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ქართული ენის სახელმძღვანელოს შექმნა ამ ტიპის ფაკულტეტების სტუდენტთათვის საშური საქმეა. ახლახან, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობამ დასტამბა ამავე უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგის, დოცენტ მარინე ქაცარავასა და თსუ ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტ ია ვაშაკიძის სახელმძღვანელო „ქართული ენის პრაქტიკული კურსი“.

წიგნის რეცენზენტები არიან. პროფესორი დამანა მელიქიშვილი და პროფესორი ფუფუნა ფეიქრიშვილი. რედაქტორია პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელმძღვანელო რედაქტორის, პროფ. ტ. ფუტყარაძის მიერ შემუშავებული პროგრამა - პროსპექტის მიხედვითაა შედგენილი.

დავიწყებთ იმით, რომ ეს შესანიშნავი სახელმძღვანელო სრულიად განსხვავებულია აქამდე არსებულთაგან როგორც შედგენილობის, ისე ფორმის თვალსაზრისით.

წიგნი წარმოადგენს ქართული ენის სწავლების პრაქტიკულ კურსს, შეიცავს ქართული ენის გრამატიკის თავისებურების შესახებ ნათელ წარმოდგენას. მასში მოცემულია კარგად გააზრებული მასალა მსოფლიო ენათა და ეთნოსთა ნათესაობის, ქართველური დიალექტების შესახებ; საინტერესოაა წარმოდგენილი ქართველური მოდგმის ისტორიის ზოგადი სურათი ენობრივ მონაცემთა მიხედვით, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის პერიოდიზაცია. იგი აღჭურვილია შესანიშნავი საილუსტრაციო მასალით, საგარჯიშოებითა და ტექსტებით.

შესასწავლი მასალა დაყოფილია 5 თავად; ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის პრაქტიკულ საკითხებთან ერთად წარმოდგენილია ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის, პუნქტუაციის პრობლემები. თითოეულ ტექსტს ახლავს შესაბამისი გრამატიკული საკითხის ახსნა-განმარტება. აქვე მოცემულია საგარჯიშოები. თითოეული თავის ბოლოს წარმოდგენილია გამაერთიანებელი ტექსტები.

დოც. მ. ქაცარავასა და დოც. ი. ვაშაკიძის ახალი სახელმძღვანელო არა მხოლოდ სტუდენტთათვისაა ღირებული შენაძენი, არამედ შეგზრობას გაუწევს ქართული ენის ცოდნით დაინტერესებულ ყველა პირს.

მანანა შიქაძე
პროფესორი

ქრისტიანობის დაბრუნების საკითხი დასავლეთ საქართველოში IV-V სს-ში

ქრისტიანობა უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ერის ისტორიაში. გასწავლულია მისი წვლილი ქართველთა თვითყოფილებისა და ეროვნული გადარჩენის საქმეში. საუკუნეების მანძილზე უამრავ მკვლევარს ბრძოლაში ჩვენი ხალხის სხნის ერთ-ერთ უაქტორად ი. ჭავჭავაძე სწორედ ქრისტიანობას მიიჩნევდა. „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში პნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, პნიშნავდა ქართველობას“ (ი. ჭავჭავაძე, ქართველი ერი და დეაქონი წმინდა ნინოსი, თბ., გ. VIII, თბ. 1928.)

სწორედ ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე დიდი დამსახურების გამო ურიად საინგერესო გაირკვეს, როდის იქნა ქრისტიანობა აღიარებული ქართველთა მიერ სახელმწიფო რელიგიად.

აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მეცნიერთა მიერ IV ს. I ნახევარში განისაზღვრა. ვახუშტი ბაგრატიონი ამ მოვლენას 317 წლით ათარიღებდა; დავით ბაგრატიონი—312 წლით; თეიმურაზ ბაგრატიონი 331 წლით, პ. იოსელიანი, გ. საბინინი, რ. ცაბცივი, დიუბუა დე მონპერე 318 წლით. ამავე ამრს იზიარებს ვ. გოლაძე, მ. ბროსემ ქართლის მოქცევის თარიღად 328 წელი მიიჩნია; მ. ჯანაშია—323; ს. გორგაძემ — 323, ვ. თაყაიშვილმა—332. ვ. კეკელიძემ — 355-356. მაგრამ დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართლის მოქცევის თარიღად მიღებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ განსაზღვრული 337 წელი.

თუ ქართლის სამეფოსათვის ეს საკითხი გარკვეულია, დასავლეთ საქართველოსთან მიმართებაში ამ მხრივ ვითარება შედარებით რთულად წარმოგვიდგება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში უკანასკნელ ხანებამდე ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღად 523 წელი იყო აღიარებული. ამ მოსაზრებას იზიარებდნენ ივ. ჯავახიშვილი (ქართული ერის ისტორია, წ. I თბ. I, თბ. 1979), ნ. ბერძენიშვილი (საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბ., 1946), ნ. ჯანაშია (მრომები, გ. I, თბ., 1949).

ეს თარიღი ქართველ მეცნიერთა მიერ აღებული იყო ბიზანტიელი ქრონიკის, თეოფანე კამთაღამწერელის (VIII-IX სს.) მიერ მოთხრობილი ისტორიის საფუძველზე, რომლის მიხედვით 523 წელს ეგრისის მეფე წათე განუგა სპარსელებს, ჩაეღია კონსტანტინოპოლში და იქ მოინათლა, ხოლო სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გააქრისტიანა თავისი სამეფო.

ს. ჯანაშია როდესაც ამკიცებდა ეგრისში ქრისტიანობის VI საუკუნის 20-იან წლებში გამარჯვებას იქვე დასძენდა, რომ სამწუხაროდ არ არსებობს ცნობები დასავლეთ საქართველოში არსებული ვითარების შესახებ IV საუკუნეში.

დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად ასე დაგვიანებით გამოცხადებას მეცნიერები ხსნიდნენ ეგრისის მეფეთა ანტირომაული გუნდის მიხედვით. ამავე დროს აღიარებული იყო, რომ ეგრისში ქრისტიანობა დიდი ხნით ადრე იყო შესული.

ს. ყაუხჩიშვილმა სცადა დაესაბუთებინა, რომ ეგრისში ქრისტიანობა IV ს. I მეოთხედში გავრცელებული უნდა ყოფილიყო. მისი აზრით, მსოფლიოს I საუკუნის კრებებზე, რომელიც 325 წელს გაიმართა ნიკეაში, ბიჭვინთის ეპისკოპოსის სტრატონიუსის მონაწილეობა დასტურდა იმისა, რომ იქ მღიერი ქრისტიანული ორგანიზაცია არსებობდა, რომელშიც ბერძენ კოლონიკებთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობაც იყო გავრთიანებული. ამის დასამტკიცებლად ს. ყაუხჩიშვილს მაგალითად მოჰყავდა ბიჭვინთის გაბრის მონაიკურ წარწერაში ქტიტორად ქართველი წარსინებულის — „ორელი“-ს ხსენება (ს. ყაუხჩიშვილი, ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში, გეორგიკა, გ. I, თბ., 1961).

ეგრისის გაქრისტიანებას IV საუკუნეში მომხდარ ამხად თელის ბიზანტიელი აგორი გელასი კესარიელი, რომელიც ამ ფაქტს კონსტანტინე დიდს - ბიზანტიის იმპერატორის სახელს უკავშირებს. გელასი კესარიელის ეს ცნობა V ს. ბიზანტიელი საეკლესიო ისტორიკოსის გელასი კვიზიკელის თხზულებაშია შემონახული და რადგან ის არ გვხვდება თვით გელასი კესარიელის ისტორიის ლათინურ ენაზე მთარგმნელის რუფინუსის თხზულებაში, ამის გამო ივ. ჯავახიშვილმა ის თავად გელასი კვიზიკელის ჩანართად მიიჩნია. თუმცა ნ. ლომოური თელის, რომ ეს ცნობა მართლაც გელასი კვიზიკელის ჩანაშატი რომ იყოს, ის მაინც ადასტურებს, რომ თავად მის დროს, V საუკუნეში ეგრისის გაქრისტიანება დიდი ხნის წინათ მომხდარი ფაქტია.

თავად ნ. ლომოური ეგრისის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას ქართლის თანადროულად მომხდარ ფაქტად თვლის. ის ამ მოვლენას ადასტურებს არა მარტო ბიზანტიელ აგორთა ცნობებით და ნიკეას საეკლესიო კრებებზე სტრატონიუსის დასწრებით, არამედ მაგალითობად მოჰყავს IV-V საუკუნეების ბიჭვინთის ქრისტიანობის სიმბოლოს - ჯერის გამოსახულებით შემკულ ჭურჭლის ხმარება; წებულის ნეკროპოლის სამარხებში და მარხვის ქრისტიანული წესი და ქრისტიანული სიმბოლიკით შემკული მედალიონების არსებობა, ყველაფერი ეს ნ. ლომოურს სამართლიანად მიიჩნია იმის დასტურად, რომ IV საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა მყარად ფეხმოკიდებული რელიგია იყო. (ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ. 1968).

ამავე მოსაზრებას უჭერს მხარს ვ. გოილაძე, რომელსაც დასახელებულ არგუმენტებთან ერთად მოჰყავს V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ავათანგელის „გრიგოლ პართელის ცხოვრებაში“ დატული ცნობა. ვ. გოილაძე ფიქრობს, რომ ამ ცნობით დასტურდება ეგრისის, აფხაზეთისა და ბასიანის ეკლესიათა პირველ საჭეთმკურთხელთა დანიშნა ნიკეას კრების წინ. ამ ცნობის მიხედვით ერთი ქართველი, სახელად იბირბ-მ-ზ-ხუა აკურთხა მიგროპოლიგად და გაემგზავრა, რათა მთელი საქართველოსათვის ეპისკოპოსები დაენიშნა. ამავე ცნობის მიხედვით აფხაზეთა ქვეყანაში დაინიშნა კაპალოკიელი სოფრინიუსი. ვ. გოილაძის მიხედვით ავათანგელის თხზულების ეს ცნობები დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის უნიკალურია, რადგან ისინი ადასტურებენ IV საუკუნეში ქრისტიანობის ოფიციალურ აღიარებას (ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეები, თბ. 1991).

ეგრისში IV საუკუნის I ნახევარში ქრისტიანობის ოფიციალური რელიგიად აღიარების მოსაზრებას მხარს უჭერენ: გ. ლორთქიფანიძე და ნ. ჩიქოვანი. სხვა არგუმენტებთან ერთად მათ მოაქვე ბიზანტიელი აგორის იოანე მალალას თხზულებაში არსებული ცნობა. მალალა იმეორებს თეოფანე კამთაღამწერელის ისტორიას ეგრისის მეფე წათეს მონათელის შესახებ, ოღონდ დასძენს, რომ თავად ეგრისის სამეფო ქრისტიანული იყო, მაგრამ მისმა მეფემ პოლიტიკურ მოსაზრებითა გამო ჯერ დაგმო, ხოლო შემდეგ კვლავ აღიარა ქრისტეს რჯული (გ. ლორთქიფანიძე, ქართული ეკლესიის ისტორია, თბ., 1998).

დასავლეთ საქართველოში IV საუკუნისათვის ქრისტიანული რელიგიის ფართოდ გავრცელების ყველაზე უკუყარი დასტურია არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ქრისტიანული საკულტო არქიტექტურის ძეგლები, რომლებიც IV-V საუკუნეებით თარიღდება.

აღსანიშნავია ბიჭვინთის აღმოჩენილი სამი ბაზილიკური ეკლესიის ნანგრევები. მათგან უძველესი IV ს. I მეოთხედით თარიღდება. ეს პირველი ნაგებობა მალე დასტურდა და სწრაფად აღუდგინათ, ხოლო მისი დანგრევის შემდეგ აიგო ადრე ნახსენები მთაბაის იატაკიანი ბაზილიკა. ეს ნაგებობები შესანიშნავი დასტურია იმისა, რომ IV ს. დასაწყისიდან ბიჭვინთის მონასტრის საეკლესიო ცენტრი — საეპისკოპოსოა. (ა. დიდი პიტიუნგი I თბ., 1975).

ორი ეკლესიის ფრაგმენტები გამოვლინდა ციხისძირში. მათგან გამოირჩევა V ს. დათარიღებული თლილი ქვით ნაგები ხუთწახნაგა აფსიდისანი სამნავიანი ბაზილიკა. მის ქვეშ აღმოჩნდა უფრო ადრინდელი გაბრის ციხისძირში. მათგან გამოირჩევა V ს. დათარიღებული თლილი ქვით ნაგები ხუთწახნაგა აფსიდისანი სამნავიანი ბაზილიკა. მის ქვეშ აღმოჩნდა უფრო ადრინდელი გაბრის

კედლები (ა. ინაშვილი, პეტრა-ციხისძირში 1962-1965 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები სდსმ, 17, თბ., 1974).

ასევე დიდი ზომის ადრექრისტიანული ხანის, ბაზილიკა აღმოჩნდა არქეოლოგებმა ვაშნარის ნაქალაქარზე, რომელიც თურგეთის რაიონში, მდინარეების ნაგანების და სკურდების შესართავთან მდებარეობს. ეს ნაგებობაც IV-V სს. თარიღდება (ვ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრების საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952).

სამი ბაზილიკა დადასტურებული ეგრისის დედაქალაქ ციხე-გოჯში (ძველი არქეოპოლი, ახლანდელი ნოქალაქევი). IV საუკუნით თარიღდება დიდი ზომის ერთნავიანი ბაზილიკა. ამავე ადგილას შემდეგ უფრო დიდი სამნავიანი ბაზილიკა ყოფილა. ამ უკანასკნელის დასტურების შემდეგ VI ს. დამდეგს უფრო მცირე ზომის ბაზილიკა აუგიათ, რომელიც რამდენჯერმე გადაკეთებული დღემდე მოღწეული (პ. შაქარაია და სხვები, ციხეგოჯი-ნოქალაქევი, თბ., 1984). ნ. ლომოურის ვარაუდით ციხე-გოჯი ერთ-ერთი საეპისკოპოსო უნდა ყოფილიყო. ვ. გოილაძის აზრით კი ეგრისის დედაქალაქში შესაძლებელია ეგრისის ეკლესიის მწვემს-მთავარის რეზიდენციაც იყო. აღსანიშნავია აგრეთვე ციხე-გოჯის მიმდებარე სოფლებში რამდენიმე ეკლესიის აღმოჩენა, რომლებიც აგრეთვე IV-V სს. თარიღდებიან.

საინტერესო ძეგლებია აღმოჩენილი ეგრისის უმნიშვნელოვანეს ქალაქ ქუთაისში, რომელიც ქვეყნის უდიდეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. ქალაქის ციგაღელში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს IV საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული, „სამლოცველო სახალა“ მიჩნეული ნაგებობა, რომელსაც ძველი ქართული გერმინოლოგიით ბაგინი ეწოდება. იქვე მის ვეჯრდით კი V საუკუნეში აუგიათ საეკლესიო ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუში, სამნავიანი და სამაბსიდიანი ეკლესია. ნაქალაქარის გერიგორიაზე ფუნქციონირებდა მესამე ეკლესიაც, რომელიც VI ს. თარიღდებოდა. (ო. ლანჩავა, ქუთაისის ეგრის-ლამიის ციხე-ქალაქთა სისტემაში, ქუთ., 1996).

მთლიანად დასავლეთ საქართველოს გერიგორიაზე IV-V სს. დათარიღებული ორ ათეულამდე ქრისტიანული საკულტო ნაგებობაა აღმოჩენილი. მათგან ნახევარი საკმაოდ დიდი ზომისაა და ასეულობით მლოცველისათვისაა გათვალისწინებული, რაც, თავის მხრივ, მრავალრიცხოვანი მრევლის არსებობის დადასტურებას უნდა მივიჩნიოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ნაგებობები აგებულია მთელი დასავლეთ საქართველოს გერიგორიაზე, როგორც ზღვისპირა რეგიონებში, ასევე შიდა რაიონებშიც, რაც ურიად მრავლისმეტყველია, თუნდაც იმიტომ, რომ მთელი მეცნიერი ეგრისის ზღვისპირა რეგიონებში ეკლესიათა არსებობას იქ რომაულ გარნიზონების ყოფნით ხსნიდა და ადგილობრივ მოსახლეობაში ქრისტიანობის არარსებობას ამ ფაქტით ამართლებდა. მაგრამ ეგრისის შიდა რეგიონებში ნოქალაქევისა და ქუთაისის ჩათვლით რომაელთა ყოფნა დადასტურებული არ არის, ხოლო ბიზანტიელები აქ VI საუკუნიდან ჩანან მხოლოდ. ასე რომ თუნდაც ქუთაისში ეკლესიათა მშენებლობა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას უნდა დაეკავშიროთ და შესაბამისად დაედასტუროთ არა მარტო ქრისტიანული რელიგიის გავრცელება, არამედ სპეციალური ორგანიზაციების არსებობა.

ჩვენი აზრით, ზემოთ მოყვანილი ისტორიული წყაროები და არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი მაგარიალური ეკლესიის ძეგლები ქმნიან მყარ საფუძველს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრების დასადასტურებლად, რომ IV საუკუნის I ნახევარში დასავლეთ საქართველოში, ეგრისის სამეფოში ქრისტიანული რელიგია არა მარტო საყოველთაოდ გავრცელებულია, არამედ ის სახელმწიფო რელიგიასაც წარმოადგენს.

მამბა ჯანაშია
ქსე-ის არქეოლოგიისა და კულტურის ისტორიის კათედრის მასწავლებელი

გალაკციონის „თოვლის“ გამი



გალაკციონის ამ ლექსს სხვადასხვაგვარად განმარტავენ. ამ მხრივ შეგად საინტერესოა „საბჭოთა ხელოვნების“ 1969 წლის №9-ში დაბეჭდილი როლანდ ბურჭულაძის წერილი „თეატრალური შთაბეჭდილების ასახვა გ. გაბიძის შემოქმედებაში“, რომელიც პოლონელი სიმბოლისტის სტანისლავ ფშიბისევის 1903 წელს დაწერილი პიესა „თოვლის“ ფონზე აგორი ცდილობს ახსნას გალაკციონის „თოვლის“ სიმბოლური სახეები.

ეს პიესა 1903 წელსვე მოსკოვში დადგა რეჟისორმა ვ. მაიერხოლდმა, ხოლო თბილისში 1904 წელს წარმოადგინა.

პიესის ფაბულა მარტივია: ახალგაზრდა ცოლ-ქმარს თადეუსს და ბრონკას ერთმანეთი უყვართ. მათ ცხოვრებაში უეცრად შეიჭრება ბრონკას ინსტიტუტის მეგობარი ეკა. თადეუსის პირველი სიყვარული, რომელიც აღიქმება დაუკმაყოფილებლობის გრძნობის სიმბოლოდ, ლტოლვად სიახლეებისაკენ.

ბრონკას სიმბოლიკა ლურჯი თოვლია. იისფერი, ლურჯი უფრი სიკედილის სიმბოლოდ თოვლება (თოვლი უნდა დადნეს!).

ბრონკა და კამიშირი ყინულის ჭრილში ცვივებიან და იღუპებიან. იღუპება თადეუსიც... რ. ბურჭულაძე ასკვნის: ვალაკციონის „თოვლი“ სტანისლავ ფშიბისევის ამავე სახელწოდების დრამიდან მომდინარეობს და წარმოადგენს თადეუსის მიმართულებას ვეახადში. აქვე საინტერესოა აზრია გამოთქმული გალაკციონის „ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფრის“ შესახებ. კერძოდ:

1901 წლის მაისში სტანისლავის შეულე დაგნი იუველი და მათი ხაუროთ მეგობარი ვლადისლავ ვუბრიკი სამოგზაუროდ საქართველოში წამოვიდნენ. იმავე წლის 23 მაისს სასტუმრო „გრანდ ოკლეში“ (თბილისში) წინასწარი განზრახვით ვუბრიკმა დაგნი იუველი მოკლა და თავიც მოიკლა. იგი მეგობრებს უბარებდა მოკვლეთ დაგნის 6 წლის ვაჟიშვილს — მერონისათვის.

მოკლულები თბილისში სხვადასხვა სახელად იწოდებოდნენ.

გასარკვევია: ეს ოჯახური დრამა ხომ არ დადგება საფუძველად სტანისლავ ფშიბისევის პიესას „თოვლი“ და რამდენად სწორია გალაკციონის „თოვლის“ ინტერპრეტაცია?

აპულ აპულაშვილი
20. VII. 2001 წ.

P.S. ახლანდელ მოვლამდე გ. კანელიას რადიოდგენა „მელოდრამის ჩვეულებრივი ხმალი“, რომელიც XX საუკუნის დასაწყისის გრაველან ასახავდა. იქნებ ამ დადგმის აგორს მიუყვებოდნენ ხელი რაიმე ინფორმაციამ?

ქართული მოღვაწეების ანგარიში

სოსო სიჭვავაძე

პროფესორი სოსო სიჭვავაძე არაერთი ფრიად მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომის ავტორია. საკმარისია დავასახელოთ მისი „მარგველი და ალაშქარნი“—ტომი I, „კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების გზა“, ტომი II, „კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“, „ქართული ავანგარდისმი“, „ალექსანდრე მთაბრაშის ქვეყანა“ და სხვ.

ახლახან გამოიცა „ქართული მოღვაწეების“. ეს ნაშრომი მრავალმხრივ საყურადღებოა. ავტორის გამორჩეულ ანალიტიკურ ამოცანებსა და ერთად, ჩვენს ცოდნას გაამდიდრებს უამრავი სიახლე. ვებუძლავთ ერთ თავს წიგნიდან „ქართული მოღვაწეების“.

თბილისი... პირველი ქალაქი

თბილისი 400 წელი არაბებს ეპყრათ და აქ მათი ამირა იჯდა. ქალაქი დავით აღმაშენებელმა დაიბარუნა, მაგრამ მომდევნო საუკუნეთა კატაკლიზმებმა ქართულთა რიცხვი მტკიცებულ შეამცირა.

როგორც ივანე ჯავახიშვილი გვუხებდა, 1700 წელს თბილისში მხოლოდ ათი პროცენტი იყო ქართველი (ოცი ათასიდან ორი ათასი!).

ეროვნულ შეგრძობის შემთხვევაში ბაგრატიონების ქალაქში შესამჩნევად განმტკიცდა ქართველობა და, მიუხედავად ალა-შაჰად-ხანის ნგრევისა და ხოცვა-ჟლეტისა, 1803 წელს ქართული მოსახლეობა ოცდაათ პროცენტს აღწევდა.

მაგრამ მთელი XIX საუკუნე თბილისს რუსები და სომხები ეპატავებოდნენ. ისინი განაგებდნენ ქალაქს, ავიწროებდნენ ქართველებს და მათი რიცხვი ისე შემცირდა, რომ 1910 წელს აქ ცხოვრობდა მხოლოდ 17,7% ქართველი!

54 ათასი ქართველის პირისპირ იდგა 125 ათასი სომეხი და 79 ათასი რუსი, რომელთაც არც ქართული ენა სწამდათ, არც საქართველოს მომავალი.

თბილისში ძირითადად ცხოვრობდნენ მაღალი წრის ქართველები, ხოლო მასა, დაბალი ფენები არაქართული იყო, ამიტომ წარმოიშვა პირიქული ქალაქური ფოლკლორი, რომელიც ასე კარგად წარმოაჩინა იოსებ გრიშაშვილმა „მედი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემიაში“.

დემოკრატიული კატასტროფა კულტურაშიც თავს იჩინდა.

ილია ჭავჭავაძისა და სხვა „თერგდალეულთა“ მოღვაწეობა რომ არა, ქართველები იმ კუნძულსაც დაკარგავდნენ, რომელიც ჯერ კიდევ ეკავათ.

თუ 60-იან წლებამდე პოეტები და მწერლები აღმოსავლეთ საქართველოდან მოდიოდნენ, შემდეგ ლიტერატურას დასავლეთის ტალღა მოაწვდა.

XX საუკუნის დასაწყისიდან მწერალთა აბსოლუტური უმრავლესობა დასავლეთ საქართველოს მკვიდრია, მდებარეობს შვილები, თითქოს მათ უნდოდათ შეეცათ გაცდენილი საუკუნეები.

თბილისში დაიბადა იოსებ გრიშაშვილი, ქართულში—მიხეილ ჯავახიშვილი, კახეთში—გიორგი უფიძე.

პირიქული თბილისი ერის ლიდერი და მედროშე ვერ იქნებოდა, სადაც ბატონობდა ყარაჩხვლები და დიდი დიდები, არაფერი და დიდი დიდები, სადაც გამოდიოდა ასეთი წიგნები... „ალაფრადი! ის შილოდი“, „ითამაშე თამარა“, „ქალაქის ახალი ბოინი“, „სირანუშის ხმა სამარადის“, „შაჰ მისი მკვლელები და სტეპკო დათბობვის ანდერძი“.

„ტფილისი საქართველოს მოშლილი კუჭი“,—წერდა კონსტანტინე გამსახურდიამ.

„აქ ქართულ ტიპში საშინელი შერევა მოხდა. ჯერ სპარსული ხაზი და შემდეგ იგივე ხაზი სომხური კილოთი შეტყველებული“—განმარტავდა გრიგოლ რობაქიძე.

გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი მუხამბაზებს ყურს უგდებდნენ, უყვარდათ ლოპინა და სთარა, მაგრამ შეურიგებელი იყო სხვა რომანტიკოსი—ვახტანგ ორბელიანი:

„მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა, კინტოთ კილო, კილო მუხამბაზისა“.

„კინტოთ კილოს“ კავაფონის ჩვენს ბაგრატიონების მღვდელურ სული.

ფეხიური ქუთაისი

ქუთაისი XX საუკუნის დამდგენი ათავის იმპერატორის ერთი პატარა, პროვინციული ქალაქი იყო. იგი როდენბახის „მკედარ ბრიუვილი“, მუქთახორებისა და ოსუნჯების ქალაქად მიიჩნდათ „ცისფერყნწელებს“, სადაც ვაკრუკანები და „შაქარას“ მოთამაშენი აბუქად იგდებდნენ ლიტერატურას.

მაგრამ სწორედ ეს ფაქტორი იყავადა ნაციონალური სულის, როგორც ბნელი წილი.

ხალხმა იცის მხოლოდ მშობლიური ენა და ამიტომ სტიქიურად იცავს მას, ეჭვით და მტრულად ეცილება სხვათა ენის მოძალატებს.

კულტურა და განათლება ხელს უწყობს გადაგვირებას, როცა ერს სახელმწიფო არ გააჩნია. თბილისისაგან განსხვავებით, ქუთაისში ქარ-

თული ენა ბატონობდა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილიც ქართული იყო.

აქ 1880 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დააარსა ქართული გიმნაზია. ქვეყანაში, რომელსაც უნივერსიტეტი არ ჰქონდა, გიმნაზია ასრულებდა უმაღლესი სასწავლებლის ფუნქციას.

გიმნაზია გაცილებით ადრე არსებობდა თბილისში, მაგრამ არაქართული გარემო ანელებდა მის ნაციონალურ მნიშვნელობას.

ქუთაისის გიმნაზიაში მეტწილად სწავლობდნენ იმერლები, მეგრელები, რაჭველები, სვანები, გურულები, რომელთაც ბავშვობაში არც რუსული გავიწყდათ, არც სომხური.

როგორც თავად-ზნაურთა, ისე გლეხთა შვილები უხსნდნენ გიმნაზიის მერხებს და წვლებით სწავლობდნენ რუსულს, ლათინურსა და ბერძნულს.

თბილისის სასულიერო სემინარიამ ღვთისმოსავთა ნაცვალად ღვთის მკვლელები—მომავალი რევოლუციონერები აღზარდა (ნოე ჟორდანი, ფილიპე მახარაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, აკაკი ჩხენკელი, იოსებ ჭულაშვილი, ლადო კეცხოველი...), ხოლო ქუთაისში ასპარეზზე გამოიყვანა ახალგაზრდა ხელოვანთა და მოღვაწეთა მთელი პლეადა, რომელმაც შექმნა ახალი „ქართული სულის რენესანსი“.

ქუთაისის კლასიკური და სათავადაზნაურო გიმნაზიებში სწავლობდნენ—ნიკო მარი, მიხაკო წერეთელი, არჩილ ჯორჯაძე, კიტა აბაშიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიქელი, კონსტანტინე გამსახურდიამ, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, სერგო კლდიაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, რუსი ფუტურისტი ვლადიმერ მაიაკოვსკი...

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეები იყვნენ—გრიგოლ რობაქიძე, მელიტონ ბალანჩივაძე, გალაკტიონ ტაბიძე...

ქუთაისის რეალური სასწავლებელი დაამთავრა გერონტი ქიქოძემ.

ქუთაისში დაიბადა და სწავლობდა ზაქარია ფალიაშვილი.

1905 წელს აქაც მოხდა შეტაკება კახაკებთან, რამაც გაამძაფრა ნაციონალური გრძობა, უნდობლობა რუსებისადმი.

ქუთაისში მოქმედებდა პროფესიული თეატრი, სადაც თამაშობდა „ქართველი ერის პამლეტი“—ლადო მესხიშვილი; არსებობდა ბანკი, სტამბა; გამოდიოდა ქართული წიგნები და ეურნალ-გაზეთები („ფონი“, „კოლხიდა“, „თემი“, „იმერეთი“, „ოქროს ვერძი“...).

თბილისიდან ჩამოდიოდნენ იოსებ გრიშაშვილი და გიორგი ლეონიძე.

ქუთაისი ოვაციით ხვდებოდა ვაჟა-ფშაველას, კონსტანტინე ბალაშენს, იგორ სვერიანისს, ფიოდორ სლოგოვს—სიკვდილისა და ეშმაკის მოძღვრას.

აქ გამოდიოდა სიმბოლისტური „ცისფერი ყნწები“, „მეოცნებე ნიამორები“ (პირველი შვილი ნომერი), „შელოდისანი“, „პოეზიის დღე“...

„ცისფერყნწელებს“ ჰქონდათ გამომცემლობა „კირჩხიბი“ და „მეოცნებე ნიამორები“; გამოსცეს სვეტამ მალარაძემ „ლეკები და პროზა“, „ახალი პოეზიის ანთოლოგია“, ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისები“, კოლაუ ნადირაძის „ბალდახინი“, სანდრო ცირაქიძის „მთვარეულები“...

აქ ისევ ღმერთაცად მიიჩნდათ აკაკი წერეთელი, რომელმაც ახალ თაობას შეაფარა ლექსი და პოეზია, ქართული სიტყვა.

რომ არა აკაკი, რომ არა მისი პოპულარობა, შეიძლება აკაკი ყოფილიყო ესოდენ სწრაფვა პოეზიისა და კულტურისაკენ.

მოდერნისტებმა არ გააგრძელეს მისი გზა. მაგრამ „განთიადის“ ავტორის მიმართ კრძალვა და სიყარული სიკვდილამდე შეინარჩუნეს (გალაკტიონი, აბაშვილი, გრიშაშვილი, ლეონიძე). აკაკის ქალაქში აღზარდილი ქაბუკები სურვილს ოცნებაში იკმაყოფილებდნენ და რიონის ნაპირებზე სტუმრად მოიწვიეს უცხოელ თანამოკალმეთა აზრდებები, რომელთა სახელები ქუთაისში არავის სმენოდა.

(გაგრძელება იქნება)

გრიგოლ ორბელიანმა გარდაცვალების წელს დაწერა: „დავებრდი, ბედს ვერ მოვესწარ“... ეს ორტაკიანი ლექსი ყველაზე წუხილიანი, ყველაზე ტკივილიანი ამონაკენის მგონია მის პოეზიაში.

ამის მერე არაფერი დაუწერია. „დავებრდი, ბედს ვერ მოვესწარ“... ამით განასრულა დიდებულ ქმნილებათა წყება და სიცოცხლევც გათავდა, ზიგზაგებით, კომპრომისებით საეხე სიცოცხლევ.

ბედს ვერ მოვესწარო, გმინავდა ბედის ხშირად თვითონვე გამკვირ გენერალი, ერთხანს ქვეყნის თითქმის პირველი პირი და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ჩრდილო კავკასიის ხალხთა მოძრაობის დაუძინებელი მტერი.

„დავებრდი, ბედს ვერ მოვესწარ“... განლუული სიცოცხლის შეფასება, მწარე შედეგით რომ დამთავრებულა, გამოტირება ყოფილის, ბედს დაბრალება, უბედობაზე ჩივილია. სანეტაროს მოლოდინის გაქრობა და სასოს წარკვეთაა.

გრიგოლ ორბელიანს ქვეყნის დამსობაზე წუხილი არაერთ სტრიქონში გაუფლავებია, არაერთგზის უგლოვია დიდებული წარსული, ერთბაშად შეკვეცილი აწმყოც გაუწელებელ ტკივილად დასწენია მის პოეტურ ნააზრევს, მაგრამ ეს სტრიქონები მანც განსაკუთრებული მწუხრით გამოირჩეული მგონია, იმ უკანასკნელ ძლიერ აკორდად მესახება, რომელშიც კიდევ ერთხელ გახმინდა დიდი პოეტის ნიჭი და საკუთარ ცხოვრებას თვითონვე უთხრა უწრფელესი მსჯავრი.

იქნებ ჩემი სიმპათია იმითაცაა ნაკვები, რომ ეს პაწაწინა ლექსი უკანასკნელი ამოხეთქვია პოეტის სულის კვილისა, სიკვდილისწინა გმინვა და, ამდენად, ტრაგიკულიც, მაგრამ, მერწმუნეთ, ისეთი მძაფრი პოეტური მუხტისაა ეს სტრიქონები, ისე სულიანსმეხუთველად ლაკონური და სიცოცხლის

უნრფელაჲსი ჩივილი

ერუყაჲსი იავებუნიძე

დაკავშირება, რომ ეს გრიგოლ ორბელიანის უკანასკნელი ლექსია, ამ პოეტურ თხზულებას ბევრს არაფერს მატებს. პირიქით, იქნებ დაიჩრდილა კიდევ—ლიტერატორები ყოველთვის მიიხსენიებენ როგორც პოეტის ბოლო პოეტურ გამოწამბუქს, ამოწურენ, დაიმოწმებენ, მაგრამ დაწერილებით აღარ ჩერდებიან მასზე, თითქოს მწერლის შემოქმედების ანალიზით კალამდალილით ამ პატარა ლექსმა რაღა უნდა მისცეთ სათქმელი.

არადა, „დავებრდი, ბედს ვერ მოვესწარ“... ნაღდად მენანება ფინალისაკენ მიმსწრაფ ასეთ ლიტერატურულ განსჯათა ბოლო სტრიქონებში ჩასაკარგად.

იგი ჩემთვის უფრო მეტია, ვიდრე პოეტის ბოლო ლექსი—ბერიკატის აწრიალებული სულია, სამანგადამცდარი წუხილია, ბოლო წერტილის დასმაა.

„დავებრდი, ბედს ვერ მოვესწარ“... სისადავით გამოირჩეული ლექსია. ლირიკული გმირი, ერთი შეხედვით, პროზაული სიმშვილით მჭვრეტია ყოფიერებისა, მაგრამ მძლავრი შინაგანი იმპულსითა შეპყრობილი, მიჩვენებითი სიმღვრის მიმდა ჯებირვადამლახი სტიქია ბოხოქრობს, სეფდაც აღარ ჩანს, სიმწრის ვაჟკაცურ ამოხვრას გადაუფარავს, თითქოს ხელიც ჩაუქმევია და უბედობასთან დაუღვია ზავი.

ეს ლექსი გრიგოლ ორბელიანის უფრო ადრინდელ თხზულებებში გამკრთალი განწყობილების ანარეკლია, როცა 1832 წლის შეთქმულთა იდეების თანახმად სულისკვეთებას მოიქცა პოეტის გული და ბედსაც დაუნდობლად ეტყოდა ხოლმე სამდურავს. „ბედო, ნუ გმინავს, განიღვიძეო“... დაწერს ერთ უსათაურო ლექსში და ეს ვალდებულ-გამოფიხზებაც იმიტომ იყო საჭირო, რომ „შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას“, ან კიდევ „ცხოვარს ვემსგავსეთ, რომელსაცა მწეგმისი არ უვის“. ამგვარი გახლდათ შეთქმულთა პროგრესული იდეებით ნასაზრდოები მართალი განცდა სინამდვილისა, იმის მტკივნეულად გააზრება და გასიგრძევა, რომ დიდებული წარსულის შემკვირვ ქართველებში წინააღობის ხისხლი ძველებურად არადა მდინარებად, დამღობრებულიყო, გაიხსნილიყო. მოკრულად მოხლდა მტრის მტანქმეში მტკიცული ერთი დამფრთხალიყო. ამიტომ ეძებდა გმირს, ბედს მინდობილი ქვეყნის მხსნელს.

„ეინ აღნდეს გმირი, რომ მის ძლიერი ბედს დაძინებულს ხმა აღადგენებს“

ეს კითხვია. პასუხი კი—ამაია ჩემს ბოდა და როტკაო, ეუბნება იარაღის მამულის დაძინებული ბედი შეღონებული პოეტო, ამ ლექს-

სეში ხელი დროვის ხარხარში. ბავუა დოქტორი, ბედს ვერ მოვესწარ“... მოც, სთავს ხეყრათ-მომსგავსებული სიტყვები ვესპროსოულს ხდის დასაწყისს და ერთგვარი დასჯის სახეს ახლავს სიბერემდე მოტიანილ წუთისოიველს. საჭიროა, ეს ლექსი უფრო დასჯება, შეჯახება და ამ განცდა-ფიქრითვე გამსჭვალული სიხვედრე სტრიქონები.

„დავებრდი, ბედს ვერ მოვესწარ“... რა ბედს ჩიოდა, რა უხედახა მწუხრება ვერ რაღდა და პოეტს, რა ვერ მოქმედებია, ასე მწარედ და გულშინაშევედომად რა ხარხაროდა ხსოვნაში, რა იყო ის, ბეჭისმხილველი, დიდებული გრიგოლ ორბელიანის გული ასე რომ დაეღრნა და აფორიაქებინა?

რა და, ქვეყნის ბედს მძიმე ლოფიეთ რომ დაწოლოდა გულზე და სამარის კარია, მოახლოებული სიკვდილი კი არ აშუოთხდა, არა, დამწვრილი ქვეყნის სინამდვილე ვაუსაბილის წუხილით დამკვიდრებულიყო მის ვინებაში. ადრე „ცულ მონებას“, გენერალ ივანე აფხაზთან საუბრის გამოძახილად რომ მაშინათ ლიტერატურის მკვლევარი, ახრალედა ქვეყნის წახეუნას. მონობა მანც დასაშუებად მიანდა. მართალია, დიალოგში (გრიგოლ ორბელიანის დღიურს „მეზავრობა ჩემი ტფილისადამ პეტერბურგადის“ ვულისხმობთ) მეგრად ეწინააღმდეგებოდა მოსაუბრეს, მაგრამ უმფარველოდ დარჩენილი ქვეყანა მანც ძველად წარმოედგინა. იქნებ ამ მრწამსით, „კარგი მონობის“ მსოფლსუფლეთ იცხვრავა საერთოდ. სიბერის ვამს კი იმდევარუებულმა წამოიძახა:

„დავებრდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო“.

სამშობლოს დამხობა, მამულის იავარქმნა უბედობას ბრალდება. უბედობას, რადგან სახეც-ვლით ვითარებაში იქნებ სხვა როლი დაკისრებოდა პოეტს, დიდებული წარსულის შესაფერი დარი ჩამომდგარიყო და ბედნიერი აწ-

მყოთი დამშვიდებულს საპირისპირო შინაარსის სიტყვები ამოეთქვა. ეს ლექსი ლაკონურობით, გრძელის მოკლე თქმის თვალსაზრისითაც მხიბლავს. ოთხ სტრიქონშია ჩაწურული უბედობის განცდა, მამულის ვაი-ვაგლას ყოფნა და ლირიკული გმირის მწარე ბედი.

გულს მიკლავს უიმედობაო, იტყვის და ამ სიტყვებში მოაქცევს არა მარტო თანადროული ყოფის აუტანლობას, სამომავლო პერსპექტივის მოკანთე ვარსკვლავსაც რომ ვერ ხედავს, ამა-საც არაორაზროვნად გვეტყვის, გვეტყვის კი არა უწრფელესი სინანულით გაგვიხელებს—ამიტომ ჩავდივარ საფლავში სიმწარით, დაუნდობელი ბედ-დროება მარგუნა გამწენმა, უბედობას მიუტერი, უბედოდ მივსულვარ სამარის კარამდლო.

„გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით“.

როგორი ამოკენსაა გულისა, თანაც რა სულისშემძვრელი, თითქოს კავშანს მოუცავს მთელი არსება პოეტისა. ამიტომაც ეს ლექსი უფრო ყურადღებასმისაკცევი და არა აჩქარებითი განსხილველი. მასში ჩაბუდებული წუხილი ქვეყნის უბედობას წვდება, კონკრეტული ვაება ზოგადდება და ეროვნული სატკივრის ჩარჩოებში მკვიდრდება.

სხვა რა უნდა ვთქვა. ვფიქრობ, საკმაოდ ვამოკვეთე ის გამორჩეულად მფუთქავი პოეტური ძარღვი, მომწუსხველი ხიდი ლაკონურიობისა, ამ მკენებაში გამონათებას პოეტის აკურთხე შედეგის გვერდით რომ აყენებს.

„დავებრდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო“

გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით“.

ესაა სულ მთელი ლექსი.

გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვრულ ველი წიგნში აღმოაჩენთ მას, მაგრამ იმ ეკლსიმობ-კელულ წუხილზე ორიადე სიტყვას თუ იტყოდნენ, ამ სტრიქონებს რომ შეგებოდა და შესისხლბორცვოდა. „დავებრდი, ბედს ვერ მოვესწარ“ კი სხვა არაფერია, თუ არა კონსტრუქციის მაგრამ პოეტის სხვა თხზულებათაგან მწიფრებით, გულიადლით გამოჩეული პოეტური ხატურობების მშრალი, მაგრამ წრფელი და ძარღვიანი.

ამიტომ ეწეხდა ამ ლექსს კანსაკუთრებულ ვურადლას რომ არ აცეკვდნენ ვაკრთა მამხე-ნიტებენ.

მტანებადა აღიკვირო ბედს ვერ მოვესწარ“... ლიტერატურულ განსჯათა ბოლო სტრიქონებში რომ ჩაკარვულიყო.

ახლაც მტანება...

XX საუკუნის
მოაზროვნეები

ოსკარ შპენგლერი არტურ ხიმშაძლი

ცხოვრების თარიღები: ოსკარ შპენგლერი დაიბადა 1880 წლის 20 მაისს ბლანკენბურგში. 1906-1911 წლებში პამბურგის ერთ-ერთ გიმნაზიაში ასწავლის მათემატიკასა და ისტორიას. 1912 წელს გადასახლდა მიუნხენში. სადაც ცხოვრობდა როგორც თავისუფალი მწერალი. გარდაიცვალა 1936 წლის 8 მაისს



მარტოხელა ადამიანი, დარჩენილი მიუნხენში საცხოვრებლად, წიგნებითა და რუკებით ვაგსებულ მანსარდში, მაშინაც კი, როდესაც უკვე სახელი მოიხვეჭა, შპენგლერის მსოფმხედველობის აღრიცხვა გაგებაში, დავალებულია არა მხოლოდ „ფილოსოფიის პროფესორების პროფესორული ფილოსოფიისადმი“ ზიზღით; მსგავსად შპენგლერისა, იგი მსოფლიო ისტორიას არ განიხილავს როგორც პროცესს, ჰეგელის სულსკვეთების შესაფერისად, და მიიჩნევს, რომ პროგრესი, მიზანი და კაცობრიობა არსებობენ მხოლოდ პროგრესის თავიანთივემეტი ევროპელი ფილოსტერების თავებში. იგი აღიარებს, რომ შპენგლერით იწყება მე-19 საუკუნის „ნამდვილი“ ფილოსოფია, რომლის თემასაც წარმოადგენს ნებისყოფა—როგორც ნება სიციცხლისადმი. სასიცოცხლო ძალა, პრაქტიკულ-დინამიკური პრინციპი. და მინც, ის მიუთითებს გოეთესა და ნიჭეზე, როგორც ორ მოაზროვნეზე, რომელთა წინაშე დავალებულია თითქმის ყველაფრით. გოეთეს „სულის ეპოქიდან“ (Geistesepochen) წარმოიშობა „მსოფლიო ისტორიის მორფოლოგია“, ხოლო ნიჭედიან მასთან მივლინენ „amor fati“, „დიდი პოლიტიკა“, ნება ძალაუფლებისაკენ—ცნება, მის მიერ გამოყენებული „ტექნიკის ფილოსოფიაში“ („Philosophie der Technik“) და პოლიტიკურ თხზულებებში.

გაცხარებული პირველი მსოფლიო ომის დროს მან დაწერა თავისი ნაშრომის—„ევროპის მზის ჩასვენების“ პირველი ტომი, რომელიც უდავო დადასტურებდა მისი თანდაყოლილი შემოქმედებითი ძალისა. წიგნი შეიცავს ისტორიის ბიოლოგიურ ფილოსოფიას: მსოფლიო ისტორია არ წარმოადგენს უფრო შორს მიმდინარე პროცესს, არამედ იგი არის მეზობლობა და მონაცვლეობა განსხვავებული კულტურებისა, რომელთაგანაც თითოეულს აქვს თავისი „სული“... კულტურები-ორგანიზმებია. ისინი ცოცხლობენ ზრდისა და ქცობის, ახალგაზრდობისა და სიბერის, აღმავლობისა და დაქვეითების ნიშნით. რვა უდიდესი კულტურა წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის ნამდვილ მატარებელს: ეგვიპტური, ბაბილონური, ინდური, ჩინური, მექსიკური, ანტიკური, მაგიური (არაბული) და ჩვენი—ევროპული, „ფაუსტური“ კულტურა—და ყველა მათგანს აქვს ერთნაირი აგებულება, ერთგვაროვანი განვითარება და ერთნაირი ხანგრძლივობა. ყველა მათგანს აქვს თავისი აყვავების ეპოქა და ყველა ვარდება გაძვლებული ცივილიზაციის ეპოქაში, რომელშიდაც შეუძლებელია რაიმე დიდი ქმნილება ხელოვნების, მეცნიერების, რელიგიის, არამედ ხდება შემუშავება ტექნიკისა და ორგანიზაციის. მაგრამ ცივილიზაციის ეპოქას თან მოსდევს ჩავარდნა უკანვე „ფელატობაში“... შემდეგი ომები და კულტურების მომთაბარეობა მიეკუთვნება გან-

სახლების (Landschaft) ისტორიას, მსგავსად ვლურთა ყოფაში ცვლილებებისა ან ფრინველთა გუნდის გადაფრენისა.

შპენგლერის მიერ შექმნილ საზოგადოებრივ მოძღვრებას (vergleichende Gestaltenlehre) (იგი იყენებს გოეთეს ტერმინს: მორფოლოგია) მსოფლიო ისტორიის შესახებ, კვლავდავალ მიჰყვება ეს ბიოლოგიური კანონებით წარმოშობილი კულტურების ცვლა და შესაძლებელს ხდის მეცნიერებას წარსულში გავრცელებულ, გამჭრალ ეპოქებზე, და აგრეთვე მომავალზე, მერმისზე. იგი იძლევა პროგნოზს ჩვენს საკუთარ, უკვე ცივილიზაციის ხანაში შესულ ევროპულ კულტურაზე. მოქარბებული ნაციონალიზმი, ტექნიკით გადატვირთვა, დიდი ქალაქების ზრდა, დემოკრატია, კოსმოპოლიტიზმი და პაციფიზმი—ნიშნებია ამ ფაზის დაქვეითებისა და მისთვის სექსტიზმი არის ერთადერთი შესაძლებელი ფილოსოფია.

ამ ნაშრომის მეორე ტომში, რომელიც წარმოადგენს დამატებასა და პირველის კომენტარების განვითარებას, შპენგლერს ხარბი ცნობისმოყვარეობა აქვს ზემოთხსენებულ უკანასკნელი მეტაფიზიკური პრინციპი, ახსნას კულტურის საიდუმლო. მაგრამ დასაბუთი მეტაფიზიკური ნაშრომი არ გამოჩენილა, იგი შეეცალა ნაშრომის გეგმამ—„ადამიანის ისტორია მისი გარემოს დროიდან“, რომელიდანაც რამდენიმე დაცალკეებული ნაწყვეტი მოგვეპოვება. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში შპენგლერი გამოვიდა როგორც პოლიტიკური მწერალი, ავტორი დიდი ტრაქტატისა—„პრუსიულობა და სოციალიზმი“, პატარა წიგნის—„ადამიანი და ტექნიკა“. აქ ფაუსტური ადამიანი, დამსახვი მის წინაშე მტაცებელი ცხოველის სახეობის უკანასკნელი და უმაღლესი წარმომადგენლის დაღუპვისა, ბედს მინდობილი აწარმოებს თავის უიმედო ბრძოლას, „შპენგლერის სულიერი ანდერძი—„გადაწყვეტილების წლები“ (Jahre der Entscheidung)—გამაფრთხილებელი, მრისხანე წინასწარმეტყველება მოახლოებული განსაცდელის შესახებ.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მის შესახებ ლაპარაკი შეწყვიტეს. „თავს უფრო მარტოხელად ვგრძნობ, ვიდრე ოდესმე.—წერს 1932 წლის პოლიტიკური ნაშრომების წინასიტყვობაში.—ისურვებენ კი, ბოლოს და ბოლოს, გამოვიყნ, და არა მხოლოდ მიკითხონ? მე ამას ველოდები... იგი ამოდ ელოდებოდა. მაგრამ მანამდე, ვიდრე მეორე მსოფლიო ომი ატყდებოდა, გერმანიისა და საზღვარგარეთ დაიწყო მისი გავლენის ახალი ხანა: ტომებისა თუ დოუსონის, გვერისა თუ გუიციზგას სხვაგვარი ცდებით გადაეღობათ დაცემის ფილოსოფია მთელი პლანეტის კულტურული საზოგადოების ერთმანეთზე ხელის გადახვევის იდეით.

თარგმნა: ნუზუარ კუზუნიძე

სიმონეთი-თბილისი-კოლომბო-თბილისი

ფიქრია აფხაიძეს რომ ჰკითხოთ, ამ წერილის ავტორი შრი-ლანკაში ხომ არ შეგხვედრიათო, არც დაფიქრდება, ისე გიპასუხებთ:—არა, არა, ნამდვილად არა; სულ ერთნახევარჯერ მყავს ნანახი ტარიელ ფუტკარადის კაბინეტში; ნახევრად ჩაითვლება სახელდახელო გაცნობა, მაშინ, მგონი, ჩემი სახელი კარგად ვერ დაიმასხვრავ; ცოტა ხნის შემდეგ, არაუშავს, სრულყოფილი საუბარი გამოგვივიდა, იმდენი რამ აინტერესებდა შრი-ლანკაში ჩემი ორწლიანი მოღვაწეობის შესახებ, თითქოს მისი დედულეთიდან დაებრუნებულიყავი და კარგა ხნის უცნობი ამბები ჩამომეტანა...

საქე გატაცებით მთხრობელი იშვიათად მინახავს. გული მწყდება, რომ მწერალი არა ვარ; ვინ გაუშვებდა ხელიდან, სიზმარშიც კი სანატრელ პერსონაჟს; აფსუსს, სადაა დავით კლიაშვილი; სიმონეთში დაბადებულ, თავის ქიშკარას და ორლობეს გაუცილებელ გუდამშიერ აზნაურებს რომ გადააყოლა მთელი სიცოცხლე, ეს მარწყვით მანდილოსანი, ფრიალ განსწავლული ენათმეცნიერი, თანაც სიმონეთელი, თავის მამულიდან ათასობით კილომეტრს იჭით ნამყოფი, ქვეყნიერების მნახველი, გამოეპარებოდა მის თვალს, თუ რა! ასე არ მოხდა, მაგრამ ქალბატონ მათა მაქავარიანის ნიჭიერი ფილოლოგის შესაძლებლობანი, ეტყობა თვალში მოუვიდა; ამიტომაც მისი გაზმველვე გახდა. ფიქრის ორწილად გაუმართლა: ენათმეცნიერების ინსტიტუტში, სადაც ის მუშაობს, ინდო-არული ენების დიდებული სპეციალისტი ხელმძღვანელობს სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თანაც ბელმა სიურპრინზად შრი-ლანკელი ქალბატონი კარამალი მოუვლიდა, რომელიც ამერიკულ მედიკალურ თან ერთად თბილისში გაიცნო. მე და ჩემი მეგობრები აღფრთოვანებული თუ დავხვით ფიქრისთან თუნდაც ხანმოკლე შეხვედრით, იმ უცხო ადამიანებს რატომ უნდა ჰქონდათ ჩვენზე ნაკლები გემოვნება ეტყობა, ხელმძღვანელმაკ უჩიხა თავის ასპირანტს, გამოეყენებინა კარზე მომდგარი არც თუ უჩიგო მასში — კარამალის კეთილგანწყობა ფიქრისადმი საქმიან ურთიერთობაში გადაზრდილიყო და მართლაც დაიძრა გემში...



სალოტორო ხარისხი დაცული. თვითონ რექტორი ქლანია უნივერსიტეტის პროფესორი იყო. აქვე უნდა აღვნიშნო ერთი: საერთოდ არ ცნეს ჩემი ქართული სერთიფიკატი, საკანდიდატო მინიმუმი თავიდან ჩამაბარებინეს.

...ნაწყენი ხომ არ ხარ იჭურ პროფესორებზე? როგორ ფიქრობ შრი-ლანკაში უფროსად ხდება მეცნიერების ათვისება, თუ ჩვენთან?

—არა, ნაწყენი არა ვარ. მე ყველაზე პრესტიჟულ ფილოლოგიურ მაგისტრატურაში ვსწავლობდი. ბუნებრივია, ცოდნის მაღალ დონეს მიხოვდნენ. ობიექტურები ნამდვილად არიან. თუმცა ვერ ვიტყვი იმას, რომ ჩვენთან ნაკლები შესაძლებლობის მქონე სპეციალისტები იყვნენ, ან ვისაც სწავლა უნდა, ბარიერები ექმნებოდა. ეს კია, რომ საქართველოში სტუდენტად გასდომინ სურვილი უფრო მეტია, ვიდრე ცოდნის დაუფლებისთვის ოდესი დაღვრა.

...სინაშლის ათვისებასთან ერთად, თუ მოახერხე შრი-ლანკელთა კულტურის, ტრადიციების ისტორიის გაცნობა?

—შრი-ლანკელს უძველესი კულტურა აქვთ. მათი დამწერლობა ჩვ. წ. აღ-მდე III საუკუნიდან არსებობს. ინდო-არულ ცივილიზაციაში ამ ხალხის ისტორია გარკვეულ სივრცეს იჭერს. ვნახე ყველაფერი რაც შეეძლო, რასაც ჩემი იქ ყოფნის დრო გაწვდა მინდოდა უძველესი ენა—პალი—შემესწავლა, მაგრამ ვერ მოვახერხე.

...საქართველოს შესახებ, თუ იციან რაიმე შრი-ლანკაში?

—თითქმის არაფერი. ისევ რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ვერად მივანხივართ. რაც შესაძლებელია მჭინდა, ეცდებილი ასეთი წარმოდგენა გამებათილებინა, მაგრამ...

...ამ თვალსაზრისით, მე მგონი, შენ პირველი ხარ, ვინც ქართული კულტურისა და ფოლკლორის შესახებ მუშაობდა შრი-ლანკელს.

—პირველი ნაბიჯი მართლაც გადაიღვა. ბატონმა მა ზურაბ კიცნაძემ გამომიგზავნა ქართული ხალხური თქმულებებისა და ზღაპრების რამდენიმე ნიმუში, რომლებიც ვთარგმნე სინაშლას ენაზე. წიგნი იჭურით ერთ-ერთი ლექტორის დაფინანსებით გამოიცა. ამ კუთხით ვეცდები, მომავალშიც გავაგრძელო მუშაობა. ამასთანავე, სურვილი მაქვს საქართველოში დაფუძნდეს სინაშლას კვლავის ცენტრი; ასეთი ცენტრი არსებობს ამერიკაში, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

...რას გვეტყვი თანამედროვე შრი-ლანკის შესახებ?

—ბირთოდად იგრძნობა ევროპული ცხოვრების გავლენა. განვითარებული ქვეყანაა. თავად კოლომბოში ადგილობრივ ტრადიციებთან შეხვედრული უცხოური სტილი; გამოირჩევა ინგლისურენოვანი პრესა, ტელევიზია, არანაყოფი ყურადღება ეტყევა მშობლიური ენის პროპაგანდას. შრი-ლანკის მოსახლეობის 70% ლაპარაკობს სინაშლას ენაზე. არის, აგრეთვე, თამილური ენაც. შრი-ლანკა გამოირჩევა უძველესი ნიღბების ხელოვნებით, აქვთ მაღალი რანგის თეატრალური სამყარო, მათი რჩეული მწერლები თარგმნილია ევროპულ ენებზე; კვლავ თეატრის შესახებ შემიძლია ვთქვა, რომ საოცრებაა მათი მითოლოგიური-ისტორიული, თანამედროვე და ქუჩის თეატრი.

ფიქრამ ბევრი რამ გვითხრა შრი-ლანკელთა რელიგიურ მრწამსზე, ბუდისტების ცხოვრების წესზე, შრი-ლანკელები ყველას უცხოელებად თვლიან, ვინც პატივს არ მიავებს მათ სულიერ სიმდიდრეს, რომ ძნელია, არ მოიხიბლო ამ ქვეყნის მომავალდევებელი ბუნებები, სტუმართმოყვარე და თბილი გულის ადამიანებით, რომ თავად ფიქრის იქ უამრავი მეგობარი ჰყავს, დაელოდებიან მის დაბრუნებას, ოღონდ ურჩევითი, ოჯახის შექმნას თუ დააპირებს, ქმარი უმოკლესია ქართველი ჰყავდეს; მართლაც, კარგი ხალხი ყოფილა შრი-ლანკაში, ასეთი კეთილშობილური სურვილებით ისევ რომ ენებანებიან ფიქრია აფხაიძეს. წარმატებებს გისურვებს ფიქრია გაზეთი „ქართული“.

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ტარიელ შპიტბარაძე
ბასუხისმგებელი რედაქტორი შიდა ხოშბარაძე
რედაქტორი ნაშიძე ოდილაშვილი
გაზეთის დირექტორი შარლაშ ღამთაშვილი
გაზეთის რეგისტრირებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოში: №12/5/9-4818
მისამართი: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59, ტელეფონი 822 79 79 46 (თბილისი); 877 49 69 05; 8231 4 28 83; 9 02 93 (ქუთაისი); 888 222 5 50 80 (ბათუმი)
ქსე დიალექტოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში
http://www.opentext.org.ge/kartuli